აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№7 (25.031) სამშაბათი, 24 - 25 იანვარი, 2023 წ. 50 თეთრი

ბარომეტრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 12-17, შიდამთიან რაიონებში - 8-13 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 3-8 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 771 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კომპანიები ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტით დაგეგმილ პროექტებს გაეცნენ

სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კომპანიებთან გაიმართა შეხვედრა, რომელზეც ამ კომპანიების წარმომადგენლებს 2023 წლის ბიუჯეტის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები გააცნეს

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ ბიზნესის წარმომადგენლებს მუნიციპალიტეტებსა და სხვადასხვა სამინისტროში დაგეგმილი მსხვილი პროექტები წარუდგინა. მან აჭარაში სახელმწიფო შესყიდვების სტატისტიკასა და ტენდერების ფარგლებში უკვე განხორციელებულ მნიშვნელოვან პროექტებზე ისაუბრა.

შეხვედრაზე სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული კომპანიების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ, რომლებსაც მიეცათ შესაძლებლობა, გაცნობოდნენ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტით დაგეგმილ პროექტებს და მიეღოთ ინფორმაცია მათთვის საინტერესო დეტალებზე.

ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა ქალაქისთვის მნიშვნელოვან ახალ პროექტებზე გაამახვილა ყურადღება და მათ განხორციელებაში წარმატებული სახელმწიფო შესყიდვების როლზე ისაუბრა.

შეხვედრა მიზნად ისახავდა საბიუჯეტო პროექტების განხორციელების მიმართულებით სახელმწიფო შესყიდვების გაძლიერებასა და ეფექტურობის გაზრდას.

სამუშაო შეხვედრას აჭარის მთავრობის წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტის მერები, სახელმწიფო შესყიდვების სპეციალისტები და სხვადასხვა სფეროში მოღვაწე კომპანიების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ. მათ შორის გახლდათ ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე.

კრიალოსა N იუსი

მთავრობის განკარგულებით, სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, მუნიციპალიტეტებს 19 695 000 ლარი გამოეყოფა. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტებს, მთავრობის შესაბამისი განკარგულების საფუძველზე, მიმდინარე წლის იანვარში სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მთლიანად ან ნაწილობრივ დაზიანებული კერძო სახლების კომპენსაციის გაცემის მიზნით, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 1 470 000 ლარი გამოეყოფა.

* * *

საქართველო არის ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა საერთაშორისო სანქციების აღსრულების მიმართულებით, - განაცხადა საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ლაშა ხუციშვილმა. მისივე თქმით, სანქციების აღსრულებასთან დაკავშირებით ხელისუფლებას ყოველდღიური კომუნიკაცია აქვს პარტნიორებთან. მინისტრის განცხადებით, ქვეყანას ბევრი მადლობის წერილი აქვს მიღებული იმ ღონისძიებებისთვის, რომლებსაც სანქციების დადგენილი სტანდარტით აღსასრულებლად ახორციელებს.

* * *

ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები („დროა“, „გირჩი - მეტი თავისუფლება“, „სტრატეგია აღმაშენებელი“) და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, 24 თებერვალს, საქართველოს ევროპული არჩევანის მხარდამჭერ და უკრაინის სოლიდარობის აქციას გამართავენ. ამის შესახებ მათ ერთობლივად გამართულ ბრიფინგზე განაცხადეს. „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერის გიორგი ვაშაძის განცხადებით, ისინი იწყებენ პროცესს, რომელიც დიდ გამარჯვებამდე მივა.

* * *

ჩემი ოპონენტები ძირითადად დაკავებულები არიან ერთმანეთზე რაღაცების დაბრალებით და სამწუხაროდ, ნაკლებს ლაპარაკობენ გეგმებსა და ხედვებზე, - განაცხადა „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეობის კანდიდატმა გიორგი მუმლაძემ. როგორც მან აღნიშნა, იგი პარტიის თავმჯდომარეობის კანდიდატებს დებატებში იწვევს იმაზე სასაუბროდ, თუ როგორ უნდა განვითარდეს და გაძლიერდეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

* * *

„გირჩი“ „ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარის არჩევნებში ნონა მამულაშვილს უჭერს მხარს, - განაცხადა დეპუტატმა იაგო ხვიჩიამ. მისივე თქმით, „გირჩი“ ამ პარტიის დაშლას გულშემატკივრობს, ნონა მამულაშვილი კი საამისოდ საჭირო ნაბიჯებს დგამს.

მოამზადა
ია შველიძემ

თეატრი მომავალშიც მრავალფეროვან რეპერტუარს გვპირდება 2

აჭარაში უშვილობის მკურნალობისა და დიაგნოსტიკის დაფინანსება გაიზარდა 2

ნატოსა და ევროკავშირში ჩვენი ქვეყნის გაწევრიანების საკითხი როცა დადგება... 3

როგორია ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ახალი რექტორის სამოქმედო გეგმა? 4

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ მიხეილ კოპლატაძე დაინიშნა 6

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

თეატრი მომავალშიც მრავალფეროვან რეპერტუარს გვპირდება

ნანა აბულაძე 577 20 35 90

რამდენიმე დღის წინ ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი ორდღიანი გასტროლით დედაქალაქში იმყოფებოდა

14 და 15 იანვარს თბილისში, მოძრაობის თეატრსა და თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიულ სახელმწიფო თეატრში ორი სპექტაკლით: იოსებ ბაკურაძის „ზურმუხტქალაქის ჯადოქარი“ და ელენე მაცხონაშვილის საავტორო დადგმით - „საიდანაც მზე მოდიოდა“ წარსდგნენ. აღნიშნული გასტროლის შესაჯამებლად ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი ესტუმრა და თეატრალებს მიმდინარე 86-ე თეატრალურ სეზონზე გაწეული შრომისთვის მადლობა გადაუხადა, წარმატებული გასტროლი მიულოცა და მომავალშიც არაერთი წარმატება უსურვა. მინისტრმა ასევე, დასძინა, რომ სამინისტრო მზად არის, სამომავლოდ თეატრს ყოველ ახალ საერთაშორისო და ლოკალურ პროექტში მხარი დაუჭიროს, რაც შიდა გასტროლებთან ერთად თეატრის დასის საერთაშორისო ურთიერთობების გაფართოებას გულისხმობს.

- შევაჯამეთ წარმატებული გასტროლები, რომელიც თეატრს დედაქალაქში, თავის პარტნიორ თეატრებში ჰქონდა. იქ ნაჩვენები სპექტაკლები, მიღებული გამოხმაურება და შეფასებები იყო ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი შემდგომი

ნაბიჯების დასაგეგმად. შეხვედრაზე ვისაუბრეთ სამომავლო გეგმებზე, რომელიც გულისხმობს უფრო მრავალფეროვანი რეპერტუარის შეთავაზებას ჩვენი ქალაქის პატარებისთვის, სტუმრებისთვის. ვისაუბრეთ საერთაშორისო ფორმატის ურთიერთობებზეც, რომელიც შეიძლება თოჯინების თეატრს ჰქონდეს უკვე მომდინარე წელს. ყველა ინიციატივას, რომელიც უკავშირდება თეატრის განვითარებას, თეატრალური დასის მხარდაჭერას, თეატრის რეპერტუარის მრავალფეროვნებას, სამინისტრო მხარს უჭერს და ბუნებრივია, ეს მხარდაჭერა შემდგომშიც გაგრძელდება, - განაცხადა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა.

დედაქალაქში გასტროლი წარმატებულად შეაფასა თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ირაკლი კიკვაძემ. მისი თქმით, მიიღეს კარგი შეფასებები როგორც მაყურებელთა, ასევე თეატრმცოდნეების მხრიდან.

- ძალიან დადებითი ემოციებით დავბრუნდით ბათუმში, ვგრძელებთ ჩვენს საქმეს, გვაქვს ძალიან ბევრი ამოცანა დასახული. ვიწყებთ მუშაობას საბავშვო სპექტაკლზე „ვინიპუხი“, რომლის რეჟისორიც ნინო მაღლაკელიძე გახლავთ. ჩვენ მზად ვართ, არაერთი სიახლე შევთავაზოთ ჩვენს ერთგულ მაყურებელს, - გვითხრა ირაკლი კიკვაძემ.

ღასან ხალილი: გავაგრძელებთ იმ აქტივობებს, რომლებსაც ვახორციელებდით

ნანა აბულაძე 577 20 35 90

- მოხარული ვარ, რომ დღეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიმყოფები. აკადემიკოსებსა და პროფესორებთან ერთად განვიხილავთ სამომავლო გეგმებს, თუ როგორ უნდა გააგრძელოს ცენტრმა საქმიანობა ბავშვებისთვის, ახალგაზრდებისთვის. გავაგრძელებთ იმ აქტივობებს, რომლებსაც ვახორციელებდით, - განაცხადა გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა საქართველში ღასან ხალილმა, რომელიც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ ბავშვთა უფლებების ცენტრს ეწვია და იქ მიმდინარე პროცესებს გაეცნო. მან ცენტრის მუშაობის სამომავლო გეგმებზე გაამახვილა ყურადღება. გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელს ბსუ-ის რექტორმა, პროფესორმა მე-

რაბ ხალვაშმა ცენტრის საქმიანობის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა. შეხვედრის ფარგლებში, ასევე, გაიმართა დისკუსია ცენტრის განვითარების და მდგრადობის სტრატეგიის შესახებ.

- ბავშვთა უფლებების ცენტრი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2021 წელს დაარსდა, სადაც ბავშვთა უფლებების საკითხებზე შემუშავდა საგანმანათლებლო მასალები, იმართება ტრენინგები, საჯარო ლექციები და დისკუსიები. ცენტრი ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით დაარსდა და ეხმარება განათლების მომავალ სპეციალისტებს, მშობლებსა და დაინტერესებულ საზოგადოებას ბავშვის უფლებების უკეთ გააზრებაში.

- ბსუ-ის ბავშვთა უფლებების ცენტრი ბავშვთა უფლებების შესახებ ცოდნას აწვდის პროფესორ-მასწავლებლებს, პედაგოგებს, აკადემიისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, მშობლებსა და ბავშვებს აჭარის რეგიონში. არაერთი შეხვედრა ჩატარდა, არაერთი სასწავლო მასალა მომზადდა და გადაეცა მათ. დღევანდელი შეხვედრის მიზანი სწორედ ის არის, რომ ცენტრმა ფუნქციონირება განაგრძოს და მუდმივად იყოს ორიენტირებული ბავშვთა უფლებების დაცვასა და განვითარებაზე, - აღნიშნა რექტორის მოადგილე ანზორ ბერიძემ.

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი განახლდა

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

ხულოს ბაგა-ბაღებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი მხოლოდ გუშინ განახლდა. ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე საბავშვო ბაღების მენეჯერებს შეხვედა. სკოლამდელ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციები მოისმინა

როგორც სამუშაო შეხვედრაზე ითქვა, მუნიციპალიტეტში ყველა სკოლამდელი დაწესებულება მზადაა, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი ნორმალურად წარმართოს.

ხულოში 27 საბავშვო ბაღია, მათ შორის 4 - ალტერნატიული, სადაც სკოლამდელ განათლებას 700-მდე აღსაზრდელი ეუფლება.

- ჩვენი მიზანია, ყველა სკოლამდელი დაწე-

სებულება ნორმალურად მუშაობდეს. ვაგრძელებთ მათი მატერიალური ბაზის განმტკიცებას. მალე სხალთაში ბაგა-ბაღის ახალი შენობა გადაეცემა საექსპლუატაციოდ, - გვითხრა ვახტანგ ბერიძემ.

აჭარაში უშვილობის მკურნალობისა და დიაგნოსტიკის დაფინანსება გაიზარდა

ზიჟრია დავლაძე 579 25 25 72

უშვილობის მკურნალობა და დიაგნოსტიკა, რომელიც აჭარაში პილოტურ რეჟიმში შარშან განხორციელდა, ბენეფიციარებისთვის წელსაც ხელმისაწვდომი იქნება. როგორც აჭარის ჯანდაცვის სამინისტროში განაცხადეს, პროგრამაში ცვლილებებია, რაც, მათი თქმით, უფრო მეტ ბენეფიციარს მისცემს საშუალებას, არსებული სამედიცინო მომსახურებით სრულად ან თანადაფინანსებით ისარგებლოს. თუ გასულ წელს 200 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ფინანსდებოდნენ, რომლებიც არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში იმყოფებოდნენ კანონიერ ქორწინებაში, წელს კრიტერიუმი შეიცვალა და პროგრამით ის უნაყოფო წყვილები შეძლებენ სარგებლობას, რომლებსაც 300 000-მდე სარეიტინგო ქულა აქვთ მინიჭებული.

მიუხედავად იმისა, რომ პრიორიტეტები უშვილოების სასარგებლოდ შეიცვალა, კალანდაძეების ოჯახს პროგრამით სარგებლობაზე წელსაც უარი განუცხადეს. წყვილი გაზეთ „აჭარასთან“ საუბრისას ამბობს, რომ 14 წელი შვილის მოლოდინში არიან, არაერთი უშედეგო მკურნალობის მიუხედავად, ფარ-ხმალი არასოდეს დაუყრიათ და ფეხმძიმობის შედეგის მისაღწევად როგორც სამედიცინო, ასევე ხალხურ მეთოდსაც ბევრჯერ მიმართეს.

იხ. მე-7 გვ.

შაბათ-კვირის ქრონიკა

„მოგვეცით იარაღი და ჩვენ ერთად გავიმარჯვებთ“ - ეს იყო მთავარი გზავნილი, რომელიც უკრაინის, ბელარუსისა და საქართველოს მოქალაქეებმა მსოფლიოს ბათუმიდან გაუგზავნეს, 22 იანვარს, უკრაინის ერთიანობის დღეს, ბათუმში უკრაინის მხარდასაჭერი აქცია გაიმართა. ბათუმის აქცია იყო საერთაშორისო აქციის ნაწილი, რომელიც მსოფლიოს 25 ქვეყნის 47 ქალაქში ჩატარდა. უკრაინელები მეგობარი ქვეყნების მთავრობებს მიმართავენ, რომ მისცენ მეტი იარაღი მათ ქვეყანას, რათა ომში გამარჯვება შეძლონ.

* * *

სოფლის ექიმები და ექთნები ხელფასზე დანამატს 2023 წელსაც მიიღებენ. აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო პირველადი ჯანდაცვის ცენტრების ექიმებსა და ექთნებზე სახელფასო დანამატს 2014 წლიდან გასცემს. ჯამში დანამატს 107 ექიმი და 110 ექთანი მიიღებს. პროგრამის მიზანია სოფლის ექიმებისა და ექთნების ადგილზე დასაქმების ხელშეწყობა, ასევე, სოფლის მოსახლეობის უწყვეტი, ბაზისური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა.

* * *

სკოლის დირექტორის სასერტიფიკატო გამოცდების 1 ეტაპი დასრულდა. 3200 კანდიდატი ხუთი საათის განმავლობაში აბარებდა შესაბამის ტესტირებას. კონკრეტულად აჭარაში 229 დირექტორი უნდა შეარჩიონ, ვინაიდან მსგავსი გამოცდა უკვე წლებია არ ჩატარებულა. სპეციალისტები ყინულის დაძვრას მიესალმებიან და თვლიან, რომ აუცილებელია ყველა სკოლას ღირსეული დირექტორი ჰყავდეს. საჯარო სკოლების დირექტორობის მსურველთა კონკურსის პირველი ეტაპი სერტიფიცირებაა, რომელიც ტესტირების ფორმატში ბათუმის 5 საგამოცდო ცენტრში მიმდინარეობდა. საგამოცდო ტესტი 80-ქულიანია და სერტიფიცირებისთვის 60-პროცენტიანი ბარიერის გადალახვაა საჭირო. გამოცდა ელექტრონულ ფორმატში მიმდინარეობდა. მეორე ეტაპზე, დირექტორობის სერტიფიცირებული მსურველი გასაუბრებას გაივლის განათლების სამინისტროში, შერჩეულ კანდიდატებს საბოლოოდ, სკოლების სამეურვეო საბჭო შეარჩევს.

* * *

ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში ხელვაჩაურში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების

შედეგების პრეზენტაცია გაიმართა. კვლევა აჭარისწყლის ხეობაში სოფელ ქედქედში ჩატარდა, სადაც მკვლევარებმა მოზრდილი მასშტაბის სამარნე კომპლექსი 11 ქვევრით და საწნახელით, ამასთან, საწნახელისთვის განკუთვნილი ავზები აღმოაჩინეს. მკვლევარები ამბობენ, რომ არტეფაქტების აღმოჩენა და პოპულარიზაცია დარგით დაინტერესებული ადამიანების ცოდნას გაამდიდრებს და ხელს შეუწყობს აჭარაში ღვინის ტურიზმის განვითარებას.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

ნატოსა და ევროკავშირში ჩვენი ქვეყნის გაწევრიანების საკითხი როცა დადგება...

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

აგრესია, ეკონომიკური ექსპანსია და კრემლისეული დისკურსი ის ქმედებებია, რომლებსაც რუსეთი დროდადრო სხვადასხვა ქვეყნისკენ მიმართავს, ასე იყო გასული საუკუნის 90-იან წლებში და ასეა ახლაც, განსაკუთრებით ეს უკრაინის მაგალითზე ჩანს. დასავლეთის მხარდაჭერით უკრაინა უმკლავდება რუსეთის აგრესიას. ქართველმა და უკრაინელმა ერებმა არჩევანი დასავლეთის სასარგებლოდ გააკეთეს, მოსკოვი ამას არ ეპუება და დესტრუქციულ ნაბიჯებს დგამს. სწორედ ამის შესახებ საუბრობს პოლიტოლოგი გელა ირემაძე

- არანაირი გეოპოლიტიკური დანიშნულება საქართველოს არ აქვს, რას ფიქრობთ?

- დავიწყოთ იმით, რომ საქართველოს ყოველთვის ჰქონდა თავისი იდეა, ფუნქცია და გეოპოლიტიკური დანიშნულება, რაც უძველესი დროიდან განაპირობებდა ჩვენი სახელმწიფოს არსებობას. ახლა ისტორიულ წიაღსვლებში არ წავალ, მოკლედ ვიტყვი, რომ ჩვენმა ქვეყანამ გეოპოლიტიკური მნიშვნელობა განსაკუთრებით დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან გამოკვეთა, კერძოდ, მაშინ, როდესაც საქართველოს მხრიდან გაცხადდა, რომ რუსეთისგან განსხვავებული გზა გვაქვს... საქართველომ აირჩია ევროპული კურსი იმიტომ, რომ საბჭოურ გარემოში 70-წლიანი თანაცხოვრებისას ვერანაირი სარგებელი ვერ მიიღო. თანაც კრემლი იმ პერიოდში ფარულად აღვივებდა ჩვენს ტერიტორიაზე (აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში) სეპარატისტულ განწყობას, ამიტომ დავისახეთ მიზნად დამოუკიდებლობა და ევროსტრუქტურებში გაერთიანება.

- მოსახლეობის ნაწილი ფიქრობს, საქართველოს პროდასავლური კურსი რომ არ აერჩია, რუსეთი ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთს არ დაიპყრობდა, არის თუ არა ამ შეხედულებაში ჭეშმარიტების მარცვალი?

- ამ თემაზე ძალიან ბევრს მსჯელობენ. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რომ რუსეთს არ სჭირდება აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი როგორც ცალკე ტერიტორიები, რუსეთის ინტერესებშია მთლიანად საქართველოს კონტროლი. აფხაზეთი და ე. წ. სამხრეთ ოსეთი მისთვის საქართველოთი მანიპულირების საშუალება იყო, რომელსაც წარმატებით იყენებდა. ახლა უფრო დიდი საშიშროება გვაფიქრებს - მთლიანად საქართველოზე არ მიიტანოს იერიში. თუ რუსეთი შეძლებს უკრაინის დამარცხებას (რაც არა მგონია, მოხდეს), მომდევნო სამიზნე მოლდოვა და საქართველო იქნება. მისი მიზანია, საქართველო რუსულ ორბიტაზე დააბრუნოს, რაც ქართულმა სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას.

- დასავლეთში ხშირად საუბრობენ რუსული პროპაგანდის ნეგატიურ როლზე, რამდენად ძლიერია ის საქართველოში?

- საერთოდ, პროპაგანდის და მით უმეტეს რუსულის, ამოცანა სიმართლის გარკვევა კი არ არის, არამედ პოლიტიკური მიზნის მიღწევა, ანუ ამ შემთხვევაში ევროპული ფასეულობების ნიველირება - თითქოს ევროპა გარყვნილია, რუსეთი კი ერთმორწმუნე და კეთილმოსურნე, რაც მცდარი შეხედულებაა. რუსეთი, რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, მართლმადიდებელ ქვეყნებს ებრძვის, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა ამის მკაფიო მაგალითებია. ამიტომ ჩვენი გზა არის დასავლეთი, სადაც სახელმწიფოების თავისუფალ არჩევანს პატივს სცემენ და მათ ინტერესებს ითვალისწინებენ, ხოლო რუსეთი რა სახელმწიფოა, ყველამ ვიცით.... სხვათა შორის, ამ მიმართებით რუსული პროპაგანდა ცდილობს, გაამართლოს რუსეთის ქმედებები პოსტსაბჭოთა სივრცეში.

- კრემლისეული პროპაგანდა, ძირითადად, რაზე აკეთებს აქცენტს?

- კრემლის მიზანი (რუსეთის იმპერიის არსებობიდან დაწყებული) ერთია - გავლენის სრულად და უპირობოდ გავრცელება და ჩვენი სატელიტის მდგომარეობაში ყოფნა. ჩვენ ძლივს დავაღწიეთ ამას თავი და რა ფასადაც, დღეს სახეზეა, მაგრამ გავლენისთვის ბრძოლა არ მორჩება მაშინაც კი, როცა ჩვენ ერთმნიშვნელოვნად აღმოვჩნდებით ევროპის საზღვრებში. რუსეთს სურს, რომ მისი გავლენა საქართველოზე იყოს მკაფიო და ნათელი. გარდა ამისა, ისიც აღსანიშნავია, რომ რუსული პროპაგანდა მეტამორფოზას განიცდის.

- რას გულისხმობთ?

- წლების განმავლობაში თვალნათლივ ვხედავთ, რომ როცა ევროკავშირმა და ნატომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს და ჩვენი არჩევანი არ იცვლება რუსეთის სასიკეთოდ, ეს უკანასკნელი ყოველთვის გადადის ძალისმიერ მეთოდებზე. ეს 2008 წლის აგვისტოს და 2022 წლის თებერვლის მოვლენებმაც დაადასტურა. რაც შეეხება რუსული პროპაგანდის ცვლილებებსა და გაძლიერებას, ეს დამოკიდებულია მსოფლიოში განვითარებულ მოვლენებზე. ისინი ამძაფრებენ პროპაგანდას საჭიროების მიხედვით. აქ საუბარი არაა კონკრეტულ ნაბიჯებზე, მაგალითად, დეოკუპაციაზე... არამედ, უბრალოდ, გვეუბნებიან, რომ საქართველო არ უნდა იყოს დასავლეთის პარტნიორი, არამედ უნდა იყოს რუსეთის „მფარველობის ქვეშ“.

- მაინც რა სახის მიზანმიმართული მუშაობით არის შესაძლებელი რუსული პროპაგანდის განეიტრალება?

- ხელისუფლებამ საზოგადოებას დაწვრილებით უნდა აუხსნას, თუ რა სიკეთის მომტანია დასავლური კურსი ქვეყნის სამომავლო განვითარებისთვის. ამ მხრივ არასახარბიელო გადაწყვეტილებად შეიძლება შეფასდეს ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის წევრობის კანდიდატის სტატუსის არმინიჭება. თუ სამომავლოდაც ანალოგიურად მოიქცევა ევროკავშირი, ეს რუსული პროპაგანდისთვის კარგი ნიადაგი იქნება საქართველოს მოსახლეობაში ანტიდასავლური რიტორიკის გასაღვივებლად, რაც არც დასავლეთმა და არც ჩვენ არ უნდა დავუშვათ. აქვე აღსანიშნავია ამასწინათ ბუქარესტში გაფორმებული ხელშეკრულება „აზერბაიჯანის, საქართველოს, რუმინეთისა და უნგრეთის მთავრობებს შორის მწვანე ენერგიის განვითარებისა და გადაცემის სფეროში სტრატეგიული პარტნიორობის თაობაზე“. ეს პროექტი საქართველოსათვის ძალზე მნიშვნელოვანია, ამით ჩვენი ქვეყანა, პრაქტიკულად, ენერგეტიკული ჰაბი ხდება.

- საქართველოში რუსული დისკურსის მომძლავრება ნაწილობრივ დასავლეთის ქმედებებმაც ხომ არ განაპირობა?

- სამწუხაროდ, მეტწილად ასეცაა, წლებია ჩვენს ქვეყანას კურსი ევროპისკენ აქვს აღებული, ჩვენი მოსახლეობა საახალწლო საჩუქარივით ელოდება ნატოში გაერთიანებას, მაგრამ ამაოდ. თუმცა ამას დრო სჭირდება. წლების განმავლობაში რაღაცას რომ ითხოვ და არ გამოდის, ამას ხშირად მოჰყვება ხოლმე ფარ-ხმლის დაყრა, თუმცა საზოგადოების დიდი ნაწილი მაინც იმედგაცრუებულ კურსი იმიტომ, რომ საბჭოურ გარემოში 70-წლიანი თანაცხოვრებისას ვერანაირი სარგებელი ვერ მიიღო. თანაც კრემლი იმ პერიოდში ფარულად აღვივებდა ჩვენს ტერიტორიაზე (აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში) სეპარატისტულ განწყობას, ამიტომ დავისახეთ მიზნად დამოუკიდებლობა და ევროსტრუქტურებში გაერთიანება.

- მოსახლეობის ნაწილი ფიქრობს, საქართველოს პროდასავლური კურსი რომ არ აერჩია, რუსეთი ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთს არ დაიპყრობდა, არის თუ არა ამ შეხედულებაში ჭეშმარიტების მარცვალი?

- ამ თემაზე ძალიან ბევრს მსჯელობენ. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რომ რუსეთს არ სჭირდება აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი როგორც ცალკე ტერიტორიები, რუსეთის ინტერესებშია მთლიანად საქართველოს კონტროლი. აფხაზეთი და ე. წ. სამხრეთ ოსეთი მისთვის საქართველოთი მანიპულირების საშუალება იყო, რომელსაც წარმატებით იყენებდა. ახლა უფრო დიდი საშიშროება გვაფიქრებს - მთლიანად საქართველოზე არ მიიტანოს იერიში. თუ რუსეთი შეძლებს უკრაინის დამარცხებას (რაც არა მგონია, მოხდეს), მომდევნო სამიზნე მოლდოვა და საქართველო იქნება. მისი მიზანია, საქართველო რუსულ ორბიტაზე დააბრუნოს, რაც ქართულმა სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას.

- დასავლეთში ხშირად საუბრობენ რუსული პროპაგანდის ნეგატიურ როლზე, რამდენად ძლიერია ის საქართველოში?

- საერთოდ, პროპაგანდის და მით უმეტეს რუსულის, ამოცანა სიმართლის გარკვევა კი არ არის, არამედ პოლიტიკური მიზნის მიღწევა, ანუ ამ შემთხვევაში ევროპული ფასეულობების ნიველირება - თითქოს ევროპა გარყვნილია, რუსეთი კი ერთმორწმუნე და კეთილმოსურნე, რაც მცდარი შეხედულებაა. რუსეთი, რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, მართლმადიდებელ ქვეყნებს ებრძვის, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა ამის მკაფიო მაგალითებია. ამიტომ ჩვენი გზა არის დასავლეთი, სადაც სახელმწიფოების თავისუფალ არჩევანს პატივს სცემენ და მათ ინტერესებს ითვალისწინებენ, ხოლო რუსეთი რა სახელმწიფოა, ყველამ ვიცით.... სხვათა შორის, ამ მიმართებით რუსული პროპაგანდა ცდილობს, გაამართლოს რუსეთის ქმედებები პოსტსაბჭოთა სივრცეში.

- კრემლისეული პროპაგანდა, ძირითადად, რაზე აკეთებს აქცენტს?

- კრემლის მიზანი (რუსეთის იმპერიის არსებობიდან დაწყებული) ერთია - გავლენის სრულად და უპირობოდ გავრცელება და ჩვენი სატელიტის მდგომარეობაში ყოფნა. ჩვენ ძლივს დავაღწიეთ ამას თავი და რა ფასადაც, დღეს სახეზეა, მაგრამ გავლენისთვის ბრძოლა არ მორჩება მაშინაც კი, როცა ჩვენ ერთმნიშვნელოვნად აღმოვჩნდებით ევროპის საზღვრებში. რუსეთს სურს, რომ მისი გავლენა საქართველოზე იყოს მკაფიო და ნათელი. გარდა ამისა, ისიც აღსანიშნავია, რომ რუსული პროპაგანდა მეტამორფოზას განიცდის.

- რას გულისხმობთ?

- წლების განმავლობაში თვალნათლივ ვხედავთ, რომ როცა ევროკავშირმა და ნატომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს და ჩვენი არჩევანი არ იცვლება რუსეთის სასიკეთოდ, ეს უკანასკნელი ყოველთვის გადადის ძალისმიერ მეთოდებზე. ეს 2008 წლის აგვისტოს და 2022 წლის თებერვლის მოვლენებმაც დაადასტურა. რაც შეეხება რუსული პროპაგანდის ცვლილებებსა და გაძლიერებას, ეს დამოკიდებულია მსოფლიოში განვითარებულ მოვლენებზე. ისინი ამძაფრებენ პროპაგანდას საჭიროების მიხედვით. აქ საუბარი არაა კონკრეტულ ნაბიჯებზე, მაგალითად, დეოკუპაციაზე... არამედ, უბრალოდ, გვეუბნებიან, რომ საქართველო არ უნდა იყოს დასავლეთის პარტნიორი, არამედ უნდა იყოს რუსეთის „მფარველობის ქვეშ“.

- მაინც რა სახის მიზანმიმართული მუშაობით არის შესაძლებელი რუსული პროპაგანდის განეიტრალება?

- ხელისუფლებამ საზოგადოებას დაწვრილებით უნდა აუხსნას, თუ რა სიკეთის მომტანია დასავლური კურსი ქვეყნის სამომავლო განვითარებისთვის. ამ მხრივ არასახარბიელო გადაწყვეტილებად შეიძლება შეფასდეს ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის წევრობის კანდიდატის სტატუსის არმინიჭება. თუ სამომავლოდაც ანალოგიურად მოიქცევა ევროკავშირი, ეს რუსული პროპაგანდისთვის კარგი ნიადაგი იქნება საქართველოს მოსახლეობაში ანტიდასავლური რიტორიკის გასაღვივებლად, რაც არც დასავლეთმა და არც ჩვენ არ უნდა დავუშვათ. აქვე აღსანიშნავია ამასწინათ ბუქარესტში გაფორმებული ხელშეკრულება „აზერბაიჯანის, საქართველოს, რუმინეთისა და უნგრეთის მთავრობებს შორის მწვანე ენერგიის განვითარებისა და გადაცემის სფეროში სტრატეგიული პარტნიორობის თაობაზე“. ეს პროექტი საქართველოსათვის ძალზე მნიშვნელოვანია, ამით ჩვენი ქვეყანა, პრაქტიკულად, ენერგეტიკული ჰაბი ხდება.

- საქართველოში რუსული დისკურსის მომძლავრება ნაწილობრივ დასავლეთის ქმედებებმაც ხომ არ განაპირობა?

- სამწუხაროდ, მეტწილად ასეცაა, წლებია ჩვენს ქვეყანას კურსი ევროპისკენ აქვს აღებული, ჩვენი მოსახლეობა საახალწლო საჩუქარივით ელოდება ნატოში გაერთიანებას, მაგრამ ამაოდ. თუმცა ამას დრო სჭირდება. წლების განმავლობაში რაღაცას რომ ითხოვ და არ გამოდის, ამას ხშირად მოჰყვება ხოლმე ფარ-ხმლის დაყრა, თუმცა საზოგადოების დიდი ნაწილი მაინც იმედგაცრუებულია. ეს ეფექტი ეფექტურად გამოიყენა რუსეთმა. ეს ეფექტი ეფექტურად გამოიყენა ბელარუსმა. ეს ეფექტი ეფექტურად გამოიყენა ... ეს ეფექტი ეფექტურად გამოიყენა ... ეს ეფექტი ეფექტურად გამოიყენა ...

როგორია ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ახალი რექტორის სამოქმედო გეგმა?

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს ახალი რექტორი ჰყავს - 4 წლის ვადით სასწავლებელს თემურ კეჟერაძე უხელმძღვანელებს. მან მაია ჭიჭილეიშვილი შეცვალა, რომელსაც უფლებამოსილების ვადა ამოწურა. ახალი რექტორი აკადემიურმა საბჭომ ერთხმად აირჩია. თეატრმცოდნე, პროფესორი თემურ კეჟერაძე ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში დაარსების დღიდან მუშაობს. ბოლო პერიოდში იყო ხელოვნების თეორიისა და ისტორიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, წლების განმავლობაში კი ბათუმის დრამატული თეატრის დირექტორი



უნივერსიტეტი კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებათა ბაზაზე პერიოდულად ახორციელებს სხვადასხვა შემოქმედებით და საგანმანათლებლო პროექტებს. ტარდება ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ფესტივალები, კონფერენციები, დაფუძნდა მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალი „ლიმონი“, გამოიცემა სამეცნიერო კრებული „ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები“, ტარდება პროფესორ-მასწავლებელთა საერთაშორისო კონფერენციები, რეგულარული სახე მიიღო სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენციებმა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტმა თავისი ხანმოკლე ისტორიის განმავლობაში, როგორც სახელოვნებო საგანმანათლებლო კერამ, სათეატრო, სამუსიკო, კინო, სახვით და გამოყენებითი ხელოვნების სივრცეში განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა.

თემურ კეჟერაძის სამოქმედო გეგმის პრიორიტეტებს შორის სასწავლო პროცესის და ხარისხის გაუმჯობესებაა.

- ბატონო თემურ, აკადემიურმა საბჭომ მხარი ერთხმად დაგიჭირათ, ელოდით?

- ალბათ, განცხადებას არც შევიტანდი, მოლოდინი რომ არ მქონოდა. თავად საბჭოს წევრი ვარ, როცა რაღაც საკითხი წამოიჭრებოდა, აქტიურად ვთანამშრომლობდი მათთან. საბჭოს წევრებმა იციან ჩემი ხედვა. სტუდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი, თავად აკადემიური პერსონალიც ყოველთვის მეკითხებოდა, თუ რას ვაპირებდი. ცხადია, გარკვეული იმედი და მოლოდინი მათაც ჰქონდათ, რომ რაღაცას შევძლებდი.

- რა უნდა გაკეთდეს ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შემდგომი განვითარებისთვის?

- უმნიშნელოვანესია სტუდენტზე, სასწავლო და შემოქმედებით პროცესზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო გარემოს შექმნა. აქ იგულისხმება როგორც მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ასევე სასწავლო, შემოქმედებითი და კვლევითი კომპონენტების მართლზომიერად დაგეგმვა და განხორციელება. ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტი უნივერსიტეტის სახეა. თუ გვსურს, ჩვენმა სასწავლებელმა რეგიონისა და ქვეყნის საუნივერსიტეტო სივრცეში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდროს, აუცილებელია არსებული რესურსების (აკადემიური, ადამიანური, მატერიალური, ფინანსური, ტექნიკური და სხვა) მობილიზება და მიმართვა სასწავლო, შემოქმედებით და კვლევით პროცესებზე. უნივერსიტეტს, ერთობლივი სასწავლო და შემოქმედებითი პროექტების განხორციელების მიზნით, ათობით მემორანდუმი აქვს გაფორმებული საქართველოსა და უცხოეთის უნივერსიტეტებთან და შემოქმედებით ორგანიზაციებთან. დროა, ამ მემორანდუმებს საარქივო მტვერი მოვაშოროთ და შევქმნათ რეალური მექანიზმი მოცემულ შეთანხმებათა განსახორციელებლად.

- რა არის თქვენთვის პრიორიტეტული?

- სტუდენტის პიროვნული პოტენციალის გამოვლენა და რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, მაღალი ხარისხის აკადემიური ცოდნის მიცემა. სტუდენტმა უნდა იგრძნოს, რომ ყველა და ყველაფერი, რაც საუნივერსიტეტო სივრცეშია, მხოლოდ მის განათლებას, პროფესიულ დაოსტატებას, ნიჭის გამოვლენას ემსახურება. ნიჭიერებასთან დაკავშირებით სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ, ჩვენ იოლად ვაკერებთ ნიჭიერის იარლიყს ადამიანს. ხშირად გვითქვამს, ნიჭიერია, მაგრამ ზარმაცი. თუ ზარმაცია, ნიჭიერის იარლიყზე თავი შევიკავოთ, რადგან სიზარმაცე ყველაზე დიდი უნიჭობაა. უნივერსიტეტი ჩართული უნდა იყოს კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის საქმეში.

- მათ დასაქმებას რამდენად შეძლებს უნივერსიტეტი?

- კურსდამთავრებულის დასაქმებას, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, განაპირობებს უნივერსიტეტში მიღებული შესაბამისი განათლება და პროფესიული უნარ-ჩვევები, მაგრამ სასწავლო დაწესებულებამ უნდა იზრუნოს პოტენციურ დამსაქმებლებთან მჭიდრო, საქმიანი ურთიერთობების დამყარებასა და არსებული ურთიერთობების გაღრმავებაზე. მაგალითისთვის: საშემსრულებლო მიმართულებით უნივერსიტეტმა ყოველ საკურსო და სადიპლომო ჩვენებაზე უნდა მოიწვიოს პოტენციური დამსაქმებლები (თეატრების, საკონცერტო და სხვა სანახაობითი ორგანიზაციების ხელმძღვანელები) არა მარტო ბათუმისა და აჭარის მასშტაბით, არამედ, მინიმუმ, დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან. მნიშვნელოვანია სტუდენტთა ჩართულობა ქალაქისა თუ რეგიონის კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტებში (რა თქმა უნდა, არა სასწავლო პროცესის ხარჯზე), ეს იქნება სანახაობითი ღონისძიებები, კონცერტები, სპექტაკლები, კონფერენციები, კონკურსები, ვორქშოპები, ტრენინგები თუ სხვა. სტუდენტი უნდა გახდეს რეგიონის კულტურული და საგანმანათლებლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი.

- როგორ მიმდინარეობს სასწავლო-შემოქმედებითი პროცესი?

- კოვიდპანდემიის პერიოდში, რეგულაციების გამო, მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა სასწავლო-შემოქმედებით პროცესს. შევთანხმდეთ, რომ დისტანციურმა სასწავლო პროცესმა მოლოდინი ვერ გაამართლა. დაიწია სტუდენტთა აქტივობის მაჩვენებელმა. სამწუხაროდ, დღემდე ეს ინერცია ვერ დავძლიეთ, კვლავ დაბალია სალექციო პროცესში სტუდენტთა ჩართულობა, თუმცა, ეჭვგარეშეა, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია. ჩვენი პროფესორ-მასწავლებლების აბსოლუტურ უმრავლესობას კარს სიამოვნებით გაუღებდა საქართველოს ნებისმიერი სახელოვნებო სასწავლებელი. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი მათი ღვაწლის მადლიერია. პროფესორ-მასწავლებელთა შრომის შედეგი შეიძლება შევაფასოთ კურსდამთავრებულთა არა მარტო დასაქმების მაჩვენებლით (რაც საკმაოდ შთამბეჭდავია), არამედ კურსდამთავრებულთა შემოქმედებითი მიღწევებით სხვადასხვა სახელოვნებო, თუ საგანმანათლებლო სფეროში.

- აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე რას გვეტყვით?

- დღითი დღე იცვლება და იზრდება მოთხოვნები. თანამედროვე გამოწვევების საპასუხოდ უნივერსიტეტმა შეძლებისდაგვარად უნდა უზრუნველყოს პროფესორ-მასწავლებელთა მონაწილეობა კვლევით და შემოქმედებით პროექტებში, ექსპედიციებში, კონფერენციებში. ხელი უნდა შეუწყოს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას, გაცვლით პროგრამებში ჩართულობას, მივლინებას პარტნიორ უნივერსიტეტებში, გამოცდილი სპეციალისტების მოწვევას. ვფიქრობ, არ იქნება ურიგო, თუ მოიძებნება მექანიზმი წლის პედაგოგის გამოსავლენად, არც ის, პროფესორ-მასწავლებელთა წარმატებული საქმიანობა პედაგოგიურ, შემოქმედებით და კვლევით ნაწილში სათანადოდ შეფასდეს და დაფასდეს. აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ განსაკუთრებული ღვაწლის პედაგოგები უნივერსიტეტმა უნდა წარადგინოს სახელმწიფო თუ სამთავრობო ჯილდოებზე.

- რა არის უნივერსიტეტის წარმატების საწინდარი?

- ვფიქრობ, ამას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ხარისხის სამსახურის გაძლიერება საუნივერსიტეტო, და საფაკულტეტო დონეზე, ასევე, საგამომცემლო საქმიანობა. თუ არ ვცდები, უნივერსიტეტის ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული საგამომცემლო საქმიანობისათვის თანხები. როდესაც გვყავს საკმაოდ ძლიერი აკადემიური პერსონალი, რომელთაც ხელეწიფებათ ახალი, თანამედროვე სასწავლო ლიტერატურის, სახელმძღვანელოების თუ დამხმარე სახელმძღვანელოების შექმნა, უცხოენოვანი სასწავლო ლიტერატურის თარგმნა, ყოვლად დაუშვებელია, ასეთი აკადემიური რესურსი არ გამოიყენო. მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ახალგამოცემული წიგნებით შევსება. უნივერსიტეტის დეპარტამენტებმა თვალყური უნდა ადევნონ ამას და საჭირო ლიტერატურის შეძენაზე ინფორმაცია მიაწოდონ ადმინისტრაციას. უნივერსიტეტში დღეისათვის სამი ფაკულტეტი და შვიდი დეპარტამენტია. სამწუხაროდ, ფაკულტეტებს, მით უფრო - დეპარტამენტებს შორის, გარდა პერსონალის პირადი ურთიერთობებისა, სასწავლო და შემოქმედებით პროცესში ურთიერთობა ნულამდე არის დასული. ერთობლივ პროექტებზე რომ არაფერი ვთქვათ, ნაკლებად ვესწრებით სტუდენტთა ღია ჩვენებებს, გამოფენებს და სასწავლო პროგრამებითა თუ შემოქმედებითი პროექტებით გათვალიწინებულ ღონისძიებებს. ჩვენი რჩევა, შეფასება ძალზედ მნიშნელოვანია სტუდენტებისთვის, პროფესორ-მასწავლებლების შეფასებას იგი პატივს უნდა სცემდეს. სტუდენტთა შემოქმედებითი კუთხით გაერთიანების მიზნით, ძალზე საინტერესოა ერთობლივი პროექტების განხორციელება, იქნება ეს საკურსო სპექტაკლები, ფილმები, სადაც სცენოგრაფები სახვითი დეპარტამენტის სტუდენტები იქნებიან, მუსიკალური გამფორმებლები - მუსიკის ფაკულტეტის სტუდენტები, გამოფენები თავისი პერფორმანსებით, მუსიკალური ნომრებით თუ სხვა.

- მტკივნეული და ყველა დონეზე აქტიურად განსახილველი საკითხია შრომის ანაზღაურება...

- ის ჩვენს უნივერსიტეტში მნიშვნელოვნად დაბალია სხვა უნივერსიტეტებთან შედარებით. ხელის ერთი დაკვრით ამ პრობლემის მოგვარების პირობას ვერავინ მოგვცემს, ვინაიდან ჩვენი შემოსავლების ძირითად ნაწილს სახელმწიფო ასიგნებები წარმოადგენს. უნივერსიტეტმა თავისი არსებობის უალტერნატივობაში უნდა დაარწმუნოს როგორც საზოგადოება, ასევე - ხელისუფლება. დღეს განათლება საქართველოში ერთ-ერთ პრიორიტეტად არის გამოცხადებული, ამდენად, იმედს გამოვთქვამ, უნივერსიტეტის არგუმენტირებულ მოთხოვნას ხელისუფლება გაითვალისწინებს. გარდა სახელმწიფო დაფინანსებისა, უნდა გამოიძებნოს სხვა ალტერნატიული წყაროები. წელს ხელფასების მატება 10% არის დაგეგმილი. ვფიქრობ, ეს არ იქნება ერთჯერადად. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ერთ-ერთი ძირითადი საზრუნავი შრომის ანაზღაურების პერმანენტულად ზრდაა, ვიდრე იგი ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში არსებულ ხელფასებს არ გაუთანაბრდება. თუმცა, შრომის დაბალი ანაზღაურება არ გვაძლევს იმის უფლებას, ჩვენი საქმიანობის ხარისხი ხელფასს გავუთანაბროთ. ყოველ ჩვენგანს უნივერსიტეტში საქმიანობის შინაგანი მოტივაცია გვამოძრავებს და არა - გარე, შინაგანი მოთხოვნილება და არა - ჯამაგირის ოდენობა.

- თქვენი გეგმები...

- თანამედროვე ეპოქაში ძალზე მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის წარმატებული საქმიანობის, სამომავლო გეგმებისა და პროექტების ფართო საზოგადოებამდე მიტანა. ხშირად ეს ყველაფერი ამ შენობის კედლებს არ ცდება. ჩვენ გვქონდა, გვაქვს და, იმედია, გვექნება წარმატებები, რომელთა გამხელა-გახმაურება მეტ პოპულარობას შეძენს არა მარტო უნივერსიტეტს, არამედ მეტად მომხიბვლელს გახდის იმ პროფესიებს, რომლებსაც აქ ეუფლება ახალგაზრდობა. ხელოვნების სხვადასხვა სფეროში ჩვენმა კურსდამთავრებულებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. გვყავს პოპულარული მსახიობები, მუსიკოსები, რეჟისორები, დიზაინერები... არაერთი აკადემიურ თანამდებობას იკავებს მშობლიურ უნივერსიტეტში. ჩვენი საქმიანობის პოპულარიზაციაში უნდა ჩავრთოთ ყველა რესურსი, განსაკუთრებით, ახალგაზრდობა, სტუდენტები თუ კურსდამთავრებულები. ყოველი წლის ადრე გაზაფხულიდან უნივერსიტეტმა, აბიტურიენტთა მოზიდვის მიზნით, სააგიტაციო, სარეკლამო, პიარკამპანია (რაც გინდათ, უწოდეთ) უნდა დაიწყოს აჭარისა და დასავლეთ საქართველოს მუნიციპალიტეტებში წინასწარ მომზადებული საინფორმაციო ვიდეორგოლებით, ფლაიერებით, ბუკლეტებით თუ სხვა ბეჭდური მასალით. პიარკამპანიის ფორმა და შინაარსი ამ საქმეში ჩახედულ ადამიანებს უნდა მივანდოთ.

> *„სასწავლო დაწესებულებამ უნდა იზრუნოს პოტენციურ დამსაქმებლებთან მჭიდრო, საქმიანი ურთიერთობების დამყარებასა და არსებული ურთიერთობების გაღრმავებაზე. მაგალითისთვის: საშემსრულებლო მიმართულებით უნივერსიტეტმა ყოველ საკურსო და სადიპლომო ჩვენებაზე უნდა მოიწვიოს პოტენციური დამსაქმებლები (თეატრების, საკონცერტო და სხვა სანახაობითი ორგანიზაციების ხელმძღვანელები) არა მარტო ბათუმისა და აჭარის მასშტაბით, არამედ, მინიმუმ, დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან*

აქცია ბათუმშიც გაიმართა

უკრაინის ერთიანობის დღესთან დაკავშირებით ბათუმის ცენტრალურ პარკში მხარდამჭერი აქცია გაიმართა, რომელზეც, უკრაინის მოქალაქეებთან ერთად, ადგილობრივებიც შეიკრიბნენ. აქციაზე სიმბოლურად იმ ქვეყნების დროშები გამოფინეს, რომლებიც უკრაინას რუსეთთან ბრძოლაში მხარს უჭერს, აგრეთვე ჩაწერეს ვიდეო, სადაც სხვადასხვა ქვეყანას დახმარებისთვის მადლობას უხდიან.

„ყოველდღე ჩვილ ბავშვებს, უდანაშაულო ადამიანებს ხოცავს ტერორისტი პუტინი და მისი ქვეშევრდომები. ამ მონსტრის დასამარცხებლად საჭიროა მეტი იარაღი. ვთხოვთ, მეგობარ ქვეყნებს, უფრო მეტი იარაღი მიაწოდონ უკრაინას“, - განაცხადეს შეკრებილებმა.

ამირან ბურიელიძე

„დრო რომ ძვირფასი რესურსია, ესეც უნდა დავანახოთ და ვასწავლოთ ახალგაზრდებს“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ინტელექტ-ჩემპიონატ „ეტალონის“ დამფუძნებელი ***გოჩა ტყეშელაშვილი*** *აჭარის მთიანეთის ხშირი სტუმარია. გასული წლის ბოლო დღეებში იგი შუახევში იმყოფებოდა, ინტელექტ-ჩემპიონატის მეორე პერიოდის კონკურსში გამარჯვებულ მოსწავლე ლადო ფუტკარაძეს საპატიო დიპლომი და 1000 ლარის ღირებულების ვაუჩერი გადასცა. სწორედ მაშინ გავესაუბრეთ.*

- ბატონო გოჩა, სპეციალობით მათემატიკოსმა, რა ფაქტორების გათვალისწინებით წამოიწყეთ ისეთი ეროვნული პროექტი, როგორიც „ეტალონია“?

- როცა სტუდენტი ვიყავი, აბიტურიენტებს ვამზადებდი მათემატიკასა და ფიზიკაში, შემდეგ რუსთავში აბიტურიენტთა და უფროსკლასელთა მომზადების ერთ-ერთი პირველი ცენტრი გავხსენით. ასე რომ, განათლება და საგანმანათლებლო საქმიანობა ჩემთვის ყოველთვის საინტერესო და სასიამოვნო იყო. „ეტალონზე“, როგორც სახალხო და ეროვნულ პროექტზე, დიდხანს ვფიქრობდით, გვინდოდა ყოფილიყო საინტერესო, შემეცნებითი, მასში ჩართვა შეძლებოდა ყველა დაინტერესებულ მოსწავლეს საქართველოს ნებისმიერი ქალაქიდან და რეგიონიდან. მგონი, შევძელით კიდეც. „ეტალონის“ სატელევიზიო ვერსია ათი წლის განმავლობაში სხვადასხვა არხზე გადიოდა და ყველგან ძალიან მაღალი რეიტინგი ჰქონდა.

- ვინ დაგიდგათ საწყის ეტაპზე გვერდით?

- რა თქმა უნდა, ოჯახის წევრები: მეუღლე, რომელიც ასევე წარმატებული მათემატიკოსია და შვილები - თამარი, ქეთევანი და თინათინი. პირველად მათ გავანდე, რომ ისეთი პროექტის შექმნა მსურდა, რომელიც ახალგაზრდებს წარმოაჩენდა, დაეხმარებოდა და განთალების მიღების მოტივაციას გაუჩენდა.

- ინტელექტ-ჩემპიონატის გამარჯვებულები მეტწილად დიდი ქალაქების მოსწავლეები ხდებოდნენ. ამ ეტაპზე სამივე გამარჯვებული პერიფერიებიდანაა?

- მცირე შესწორებას შემოვიტან: სტატისტიკის თანახმად, მეტწილად სწორედ რეგიონების სკოლების მოსწავლეები იმარჯვებდნენ, რადგან მათ საკუთარი თავის წარმოჩენისა და დამკვიდრების მეტი მოტივაცია აქვთ. ახლაც ასეა, საქართველოს ეროვნულ ინტელექტ-ჩემპიონატში, რომელმაც, კოვიდპანდემიის გამო, დისტანციურ რეჟიმში გადაინაცვლა, მაღალი შედეგებით რეგიონის სკოლების მოსწავლეები ლიდერობენ.

- „izrune.ge“-ს ვებ-გვერდზე აჭარის სკოლების მოსწავლეებიც არიან დარეგისტრირებულები, რომლებსაც კიდეც ახალისებთ ასეთი ჩართულობა.

- „izrune.ge“ უნიკალური პროექტია. გარდა იმისა, რომ ტექნოლოგიურად გამართულია, მისი მთავარი იდეა მოსწავლის აღზრდა-განათლებაში მშობლის ჩართულობის გაზრდაა. წარმატებული მოსწავლეები დიპლომებს და სხვა სახის წახალისებებს იღებენ, ამასთან, ეჩვევიან ლოგიკურ აზროვნებას, მეტყველებას, მოქალაქეობრივ სითამამეს, დროის მენეჯმენტსაც, ანუ საკითხებზე წუთებისა და წამების სწორად გადანაწილებას. დრო რომ ძვირფასი რესურსია, ესეც უნდა დავანახოთ და ვასწავლოთ ახალგაზრდებს.

- ახალ, გლობალურ პროექტს იწყებთ?

- დიახ, ეს არის „100 000 ბავშვის მიმართვა საქართველოდან - გაეროს გენერალურ მდივანს“, რომელიც მშვიდობის დამკვიდრებისკენ, მომავალი თაობების როლის წარმოჩენა-გაზრდისკენაა მიმართული. პროექტს აქვს შიდა და გარე მიზნები. ამ ეტაპზე უმნიშვნელოვანესია შიდა მიზანი - ბავშვებმა კი არ უნდა დაიზეპირონ, არამედ გაიაზრონ მიმართვის ტექსტი და არსი, ამასთან, განავითარონ აზროვნება, მეტყველება... რიცხვი 100 000 კი სიმბოლურია და საქართველოს სარწმუნოებრივი ისტორიიდანაა აღებული. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სოციალურ-საგანმანათლებლო მედიაპროექტი „ეტალონი“ და მისი პროექტები ეროვნულია, საავტორო და თანაც - დაპატენტებული. მასში მოსწავლეების და მათი ოჯახების ჩართულობა, ეროვნული ღირებულებების წარმოჩენა უმთავრესი ამოცანაა.

- საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხთან გაწყვეტილ ურთიერთობებზე რას გვეტყვით?

- ჩვენ ხშირად მივმართავთ წერილით პირველ არხს და ვთავაზობთ პროექტის განახლებას, თუმცა მას, როგორც ჩანს, სხვა ამოცანები აქვს და არც კი ცდილობს „ეტალონის“ აღდგენას. იქ არც კი მიიჩნევენ საჭიროდ, რომ შეგვხვდნენ მაინც. ჯერ კიდევ 4 წლის წინ 34.698 პედაგოგის ოფიციალური ხელმოწერა შეგროვდა „ეტალონის“ ტელეეთერში დაბრუნების მოთხოვნით, წინა 2 მოწვევის პარლამენტარებმა მიმართეს პირველ არხს წერილით, განეხილა პროექტის ეთერში დაბრუნება, თუმცა შედეგი არ არის... ნახევრად ხუმრობით ვიტყვი: საქართველოში ნიჭს ყოველთვის რთული გზა ჰქონდა გასავლელი, ასეა დღესაც, თუმცა სირთულეები არ გვაშინებს, რადგან უამრავი თანამოაზრე გვყავს.

- აჭარასთან ურთიერთობას როგორ აფასებთ?

- უნდა ვაღიაარო, რომ აჭარასთან განსაკუთრებული სიყვარული მაკავშირებს - აქ გამორჩეულად ბევრი მხარდამჭერიც გვყავს. ბოლო დროს ხშირად ჩამოვდივარ ბათუმში და ის სიყვარული, რასაც თუნდაც ქუჩაში შემხვედრი ადამიანები გამოხატავენ პირადად ჩემს თუ ჩვენი პროექტების მიმართ, ცოტა არ იყოს, უხერხულობასაც კი მიქმნის, მაგრამ პასუხისმგებლობას გვიათმაგებს.

- აჭარის მთიანეთის სკოლის მოსწავლემ პირველად გაიმარჯვა ინტელექტ-ჩემპიონატში. ამ შედეგს სკოლის, ოჯახისა და რესურსცენტრის კარგ მუშაობას მიაწერთ თუ მოსწავლის ნიჭიერებას?

- ყველაფერს ერთად, სხვაგვარად შედეგი არ მიიღწევა. ბავშვის ნიჭიერება და მონდომება, ოჯახის ჩართულობა, სკოლის, რესურსცენტრის ხელშეწყობა წარმატების გარანტია.

- თანადგომა თუ გაქვთ?

- „ეტალონს“ და მის პროექტებს ბევრი მხარდამჭერი ჰყავს, მათი თანადგომა და დახმარება, ძირითადად, იმ ბავშვებს და მათ ოჯახებს სჭირდებათ, რომლებიც წარმატებისკენ, განათლებისკენ დაუღალავად ისწრაფვიან. რა თქმა უნდა, თანადგომაც გვაქვს. ძალიან დიდი მოტივატორია, როცა ადგილობრივი ხელისუფლება და ბიზნესი აფასებს განათლებას, უნიშნავს გამარჯვებულ მოსწავლეს სტიპენდიას, აჯილდოებს, წარმოაჩენს მას, ეს სხვა ბავშვებსაც უჩენს მოტივაციას. საქველმოქმედო ფონდ „შუბანს“, ლადო ფუტკარაძეს ვემადლიერებით წახალისებისა და დაფასებისთვის. ამასთან, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ფონდი „შუბანი“, სადაც გამორჩეული მამულიშვილები მოღვაწეობენ, მთიანი აჭარისთვის მრავალ სხვა ძალიან კარგ საქმესაც აკეთებს.

- წელს საკონკურსო პირობებში რა სიახლეებია?

- ჩვენი პროექტები მუდმივად ვითარდება როგორც იდეურად, ასევე, ტექნოლოგიურად. ეს წელიც არ იქნება გამონაკლისი და ბევრ სიახლეს შემოგთავაზებთ. გვინდა, კვლავ აღვადგინოთ „ეტალონის“ გასვლითი თამაშები და ზოგიერთ მუნიციპალიტეტს ვეწვიოთ.

- დაბოლოს, რას უსურვებთ საუკუნოვან გაზეთ „აჭარის“ მკითხველებს?

- სიკეთეს, ბედნიერებას, დღეგრძელობას, პირადად თქვენ კი მადლობა მინდა მოგახსენოთ მრავალწლიანი დაუღალავი, ობიექტური ჟურნალისტური მოღვაწეობისთვის. თქვენთან შეხვედრით და ურთიერთობით ყოველთვის ბედნიერი ვარ.

„ეს არის „100 000 ბავშვის მიმართვა საქართველოდან - გაეროს გენერალურ მდივანს“, რომელიც მშვიდობის დამკვიდრებისკენ, მომავალი თაობების როლის წარმოჩენა-გაზრდისკენაა მიმართული. პროექტს აქვს შიდა და გარე მიზნები. ამ ეტაპზე უმნიშვნელოვანესია შიდა მიზანი - ბავშვებმა კი არ უნდა დაიზეპირონ, არამედ გაიაზრონ მიმართვის ტექსტი და არსი, ამასთან, განავითარონ აზროვნება, მეტყველება...

უკრაინელმა სამხედროებმა მოწინააღმდეგის თავდასხმები 11 დასახლებულ პუნქტთან მოიგერიეს, - ინფორმაციას უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი ავრცელებს. უწყების ცნობით, უკრაინელებმა რუსული ძალების თავდასხმები მოიგერიეს ლუგანსკის ოლქის სტელმახივკასა და ნოვოსელოვსკოესთან, ასევე დონეცკის ოლქის ვიემკის, რაზდოლოვკას, ბელგოროვკას, პრასკოვიევკას, ბახმუტის, სტუპოჩკას, ნოვობახმუტოვკას, პერვომაისკისა და მარინკას დასახლებებზე. ამასთან, უკრაინის გენერალური შტაბის ცნობით, უკრაინულმა ჯარებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგის საბრძოლო მასალის სამი საწყობი და ოკუპანტების დრონი ჩამოაგდეს. „უკრაინის ავიაციამ სამი დარტყმა მიაყენა მოწინააღმდეგის კონცენტრაციის ადგილებს, სარაკეტო და საარტილერიო დანაყოფებმა კი რუსების თავმოყრის 4 ზონას დაარტყეს“, - აცხადებენ გენშტაბში.

* * *

უკრაინის რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების მინისტრის მოადგილე ვასილ ლოზინსკი ქვეყნის დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენისთვის განკუთვნილი თანხების მითვისების ბრალდებით დააკავეს. უკრაინის ინფრასტრუქტურის სამინისტრომ Facebook-ის საკუთარ გვერდზე დაადასტურა, რომ ლოზინსკი საბიუჯეტო თანხების გაფლანგვისთვის დააკავეს. უწყების განცხადებით, მას თანამდებობიდან გაათავისუფლებენ. უკრაინის ეროვნული ანტიკორუფციული ბიუროს მიერ ჩატარებულმა გამოძიებამ დაადგინა, რომ ზამთარში ენერგიის ალტერნატიული წყაროებისთვის გამოყოფილი სახელმწიფო სახსრები უკანონოდ იქნა მითვისებული. ბიუროს ინფორმაციით, ლოზინსკის ბრალად ედება 400 000 დოლარის „უკანონო სარგებლის“ მიღება.

* * *

ლიეტუვის პრეზიდენტი გიტანას ნაუსედა აცხადებს, რომ წუხს უკრაინაში ტანკების გაგზავნის შესახებ გადაწყვეტილების გაჭიანურების გამო, მაგრამ იმედოვნებს, რომ ეს გადაწყვეტილებები მიიღება. მისი თქმით, გადაწყვეტილების გაჭიანურება ამორალურია იმ თვალსაზრისით, რომ ყოველი დღე უკრაინას სიცოცხლის ფასად უჯდება. „სამწუხაროა, რომ უაღრესად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებიც რაც შეიძლება მალე უნდა მივიღოთ, სხვადასხვა მიზეზის გამო ჭიანურდება. ალბათ, შესაძლებელი იქნებოდა გრძელი განხილვის გაკეთება იმის შესახებ, რომ სხვადასხვა ქვეყანაში საზოგადოებრივი აზრი განსხვავებულია, რომ შესაძლოა არ გინდოდეს სახელმწიფოს პროვოცირება, რომელიც ახლა უკრაინის ტერიტორიაზე ჭუჭყიანი ჩექმით დაცოცავს. ვფიქრობ, ეს არასწორია“, - განაცხადა პრეზიდენტმა.

* * *

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი მიიჩნევს, რომ უკრაინას შეუძლია მოიგოს ომი რუსეთის ფედერაციასთან წელს იმ პირობით, თუ უკრაინელები ერთიანობას შეინარჩუნებენ. „გამარჯვება შესაძლებელია 2023 წელს, თუ უკრაინელები ერთიანობას და სიძლიერეს შეინარჩუნებენ. ის, თუ რამდენად სწრაფად დასრულდება ომი, დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე: ძალა უკრაინის შიგნით და ძალა გარედან - პარტნიორების დახმარება. არ უნდა დავუშვათ პროცესების შენელება, როგორც გარეთ, ასევე შიგნით, რადგან ეს ომს გააჭიანურებს“, - განაცხადა ზელენსკიმ. მისი მტკიცებით, უკრაინა ყველა დროებით ოკუპირებულ ტერიტორიას დაიბრუნებს. „ჩვენ გავაკეთებთ ამ ყველაფერს, როგორც ძლიერი ცივილიზებული სახელმწიფო, ევროკავშირის მომავალი წევრი ქვეყანა, მომავალი დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელსაც ჩვენი ნატოელი პარტნიორები თავიანთ წრეში იხილავენ“, - აღნიშნა მან.

* * *

უკრაინის პრეზიდენტი აცხადებს, რომ როდესაც რუსეთის ფედერაციას 1 000 ტანკი აქვს, 20-50 ტანკი, რომელიც უკრაინამ შეიძლება დასავლეთის ქვეყნებიდან მიიღოს, პრობლემას ვერ გადაჭრის. „მკაფიოდ უნდა გესმოდეთ: როცა რუსული არმია, რომელსაც ათასი ტანკი ჰყავს, ჩვენს წინააღმდეგაა, იქ, უბრალოდ, არავინაა ისეთი, რომ იბრძოლოს, ეშინიათ, არამოტივირებულები არიან. ეს ჩვენთვის პლუსია. მაგრამ როცა მათ აქვთ 1000 ტანკი, ვერცერთი ქვეყანა, რომელიც ჩვენთვის 10, 20, 50 ტანკის მოცემას გადაწყვეტს, პრობლემას ვერ გადაჭრის“, - განაცხადა ვოლოდიმირ ზელენსკიმ. მისი თქმით, ქვეყნებმა არ უნდა ეძიონ მიზეზი იმისთვის, რომ უკრაინას ტანკები არ მიაწოდონ. მან ხაზი გაუსვა, რომ უკრაინა არ აპირებს ტანკების გამოყენებას რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე.

* * *

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ანდრეი მელნიკი აცხადებს, რომ უკრაინისთვის გერმანული წარმოების „ლეოპარდის“ ტანკების მიწოდების პროცესი უნდა დაჩქარდეს. „მხოლოდ კეთილი შეხსენება: უკრაინამ გერმანიას „ლეოპარდის“ ტანკების მიწოდების თხოვნით ოფიციალურად 2022 წლის 3 მარტს მიმართა, ანუ მე-7 დღეს მას შემდეგ, რაც რუსეთმა უკრაინის სახელმწიფოებრიობისა და უკრაინელი ერის წინააღმდეგ ომი დაიწყო. დღეს რუსეთის ბარბაროსული ომის 334-ე დღეა. იქნებ ამ პროცესის დაჩქარების დროა?“ - წერს ანდრეი მელნიკი „ტვიტერზე“. შეგახსენებთ: უკრაინისთვის „ლეოპარდის“ ტანკების მიწოდების შესახებ გადაწყვეტილება გერმანიას ამ დრომდე არ მიუღია.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ მიხეილ კოპლატაძე დაინიშნა

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

თავმჯდომარის ახალი მოადგილე, რომელიც წლების განმავლობაში უწყებაში საერთაშორისო სტიმულირების სამსახურს უძღვებოდა, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თანამშრომლებს ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ წარუდგინა.

მიხეილ კოპლატაძეს კერძო და საჯარო სექტორში მუშაობის 13-წლიანი გამოცდილება აქვს. აქედან ბოლო 10-წელია ის აჭარის ტურიზმის დეპარტამენტში სხვადასხვა პოზიციას იკავებდა. 2018 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობდა საერთაშორისო ტურიზმის სტიმულირების სამსახურს, მანამდე კი საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის სამსახურში მუშაობდა

- მიხეილ, ელოდით თუ არა ამ გადაწყვეტილებას?

- მოგესალმებით და მივესალმები თქვენს მკითხველს. დეპარტამენტში 10 წლის წინათ, მარკეტინგის განყოფილებაში, ყველაზე დაბალი, წამყვანი სპეციალისტის პოზიციაზე კონკურსით მოვხვდი. შემდეგ გადავედი მთავარ სპეციალისტად, გარკვეული პერიოდის შემდეგ გამოცხადდა კონკურსი და დავწინაურდი სამსახურის ხელმძღვანელის პოზიციაზე საერთაშორისო ტურიზმის სტიმულირების მიმართულებით, გასულ კვირას კი დეპარტამენტის თავმჯდომარემ გამაცნო გადაწყვეტილება, რომ დავინიშნე მის მოადგილედ. საჯარო სამსახურის ყველა საფეხური გავიარე აქამდე მოსასვლელად. შესაბამისად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლების განმავლობაში აჭარაში შეიქმნა გარემო, სადაც შესაძლებელია, წინ წახვიდე და განვითარდე იმ სფეროში, რომელიც გიყვარს და წლებია მუშაობ. აღნიშნული ფაქტორი, ძალიან მნიშვნელოვანია დამწყები სპეციალისტებისა და სტუდენტებისათვის, რომლებიც ფიქრობენ მომავალში საჯარო სამსახურში მუშაობას. როდესაც ზემდგომ პოზიციებზე მუშაობენ ადამიანები, რომლებსაც აქვთ ჯანსაღი დამოკიდებულება საქმესთან და კადრებთან, ყოველთვის არის პოზიტიური ცვლილებების მოლოდინი.

- რა არის თქვენთვის პრიორიტეტული?

- ადამიანური ურთიერთობები და ეფექტიანი საქმე, ვფიქრობ, ყველა მენეჯერისათვის პრიორიტეტი უნდა იყოს. თუ ადამიანს უქმნი ჯანსაღ გარემოს, უხარია სამსახურში მოსვლა, გააზრებული აქვს, რას და რატომ აკეთებს, ყველა შედეგს როგორც პირად წარმატებას, ისე აღიქვამს, საერთო საქმეც იქნება წარმატებული. გუნდში ბევრი ასეთი ადამიანის ყოფნა შექმნის საერთო მოტივაციას და გააჩენს კორპორატიული იდენტობის განცდას. ჩემთვის პრიორიტეტია, ბევრი ასეთი მოტივირებული და ბედნიერი თანამშრომელი გვყავდეს. ტურიზმი დინამიკური და სიცოცხლით სავსე სფეროა, გარდა იმისა, რომ მნიშვნელოვანი კონტრიბუციაა ქვეყნის ბიუჯეტში, შეიძლება ითქვას, ტურიზმი არაფორმალური დიპლომატიაცაა, რომლის საშუალებითაც მთელ მსოფლიოს აცნობ შენს კულტურას, ტრადიციებს, კულინარიას, ისტორიას, დაცულ ტერიტორიებსა და ქალაქებს, ზრდი შენი ქვეყნის ცნობადობას სხვა ქვეყნებში, აყვარებ ადამიანებს იმას, რაც შენია და უზიარებ უნიკალურ ემოციებს, რომლებიც მხოლოდ საქართველოში შეუძლიათ რომ მიიღონ. ალბათ შეუძლებელია ეს საქმე არ გიყვარდეს და ისე აკეთებდე. ამასთანავე, პრიორიტეტია, მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური შედეგი მივიღოთ როგორც ონლაინ, ასევე ოფლაინ მარკეტინგული არხებით მოვიზიდოთ, რაც შეიძლება მეტი ტურისტი, მეტი ინვესტორი ტურიზმის მიმართულებით. ხელი შევუწყოთ ფრენების რაოდენობის ზრდასა და ახალი ფრენების დამატებას სამიზნე ქვეყნებიდან. მაგალითად, 2022 წელს, პირველად დაინიშნა პირდაპირი რეგულარული რეისები რიგიდან და ტაშკენტიდან ბათუმის მიმართულებით, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ვიზიტიორთა რაოდენობა ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან და ცენტრალური აზიიდან.

- რა გეგმები გაქვთ?

- 2023 წელი იქნება უპრეცედენტოდ აქტიური და დატვირთული ტურიზმის დეპარტამენტისათვის. დაგეგმილი გვაქვს 30-მდე საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში მონაწილეობა, სადაც შეხვედრებს გავმართავთ მსხვილ ტურისტულ ასოციაციებთან და კომპანიებთან, რეიტინგულ მედიასთან, მარკეტინგულ კომპანიებთან და ტურიზმის სფეროში მოღვაწე სახელმწიფო უწყებებთან, ასევე, აჭარის ტურისტულ პოტენციალს გავაცნობთ ათობით ათას ვიზიტიორს, რომლებიც სტუმრობენ მსგავსი სახის ღონისძიებებს. უნდა აღვნიშნოთ, რომ წელს პირველად საქართველო არის ყველაზე დიდი ტურისტული ღონისძიების ITB ბერლინის მასპინძელი ქვეყანა, აღნიშნულ გამოფენას 184 ქვეყნიდან ასობით ათასი ადამიანი სტუმრობს, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი აქტიურად ჩაერთვება ყველა პროცესში, რომელიც ITB-ის უკავშირდება. სასიხარულოა, რომ 2023 წელს, ბათუმში პირველად გაიმართება მსოფლიოს ტურიზმის დაჯილდოება, რაც მსოფლიო ტურისტულ რუკაზე ბათუმის, როგორც ოთხივე სეზონის განმავლობაში მიმზიდველი ტურისტული მიმართულების ადგილის დამკვიდრებას კიდევ ერთხელ შეუწყობს ხელს. აღნიშნული ღონისძიება დეპარტამენტის უშუალო ინიციატივითა და ძალისხმევით გაიმართება ბათუმში და მნიშვნელოვნად გაზრდის ვიზიტიორთა რაოდენობას მომდევნო წლების განმავლობაში. ვგეგმავთ სოციალურ ქსელებში, საძიებო სისტემებსა და საიტებზე ონლაინრეკლამის გაძლიერებას. გვინდა განვაახლოთ საიტი და დავიწყოთ მუშაობა ულტრათანამედროვე აპლიკაციის შექმნაზე. ასევე ვგეგმავთ სამიზნე ქვეყნებში პრეზენტაციებისა და მასტერკლასების ორგანიზებას, ყველა რეიტინგული ოფლაინარხის გამოყენებას, სადაც შესაძლებელია განთავსდეს ჩვენს შესახებ რეკლამა და მოვიზიდოთ, როგორც ახალი ვიზიტიორები, ასევე, ვუბიძგოთ ძველებს, კიდევ ერთხელ ეწვიონ აჭარას. ვგეგმავთ სამიზნე ქვეყნების გაფართოებასა და ისეთ ქვეყნებში ჩვენი ცნობადობის ამაღლებაზე მუშაობას, რომლებიც გამოირჩევიან მაღალმხარჯველუნარიანობით. მაგალითად, ასეთებია დანია, ფინეთი, ზოგადად, სკანდინავიური ქვეყნები. ვგეგმავთ რეიტინგული მედიასაშუალებების ჟურნალისტების, ტელევიზიებისა და ბლოგერების ჩამოყვანას 20-მდე ქვეყნიდან. ახალი ტრენინგებისა და პროექტების დაწყებას რეგიონში სერვისის დონის გასაუმჯობესებლად, ახალი მარშრუტების მარკირებას და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობას მთიან რეგიონებში, მსხვილი ტურისტული კომპანიების ჩამოყვანას და ადგილობრივი კომპანიებისათვის B2B ფორმატის შეხვედრების ორგანიზებას, რათა მივცეთ შანსი, გააფართოონ საქმიანობის არეალი და შეძლონ ახალი პარტნიორების მოძიება. ჩვენი ყველა აქტივობა პირდაპირ აისახება კერძო სექტორის წარმატებულ საქმიანობაზე და ჩვენი მიზანიც ეს არის, ტურიზმის ინდუსტრიას ჰქონდეს მეტი შემოსავალი, სოფლის მიმართულებები გაძლიერდეს და სოფლის მოსახლეობას ჰქონდეს ტურისტულ საქმიანობაში ჩართვის შესაძლებლობა, საერთო ჯამში კი გაძლიერდეს რეგიონისა და ქვეყნის ეკონომიკა.

> *„ტურიზმი დინამიკური და სიცოცხლით სავსე სფეროა, გარდა იმისა, რომ მნიშვნელოვანი კონტრიბუციაა ქვეყნის ბიუჯეტში, შეიძლება ითქვას, ტურიზმი არაფორმალური დიპლომატიაცაა, რომლის საშუალებითაც მთელ მსოფლიოს აცნობ შენს კულტურას, ტრადიციებს, კულინარიას, ისტორიას, დაცულ ტერიტორიებსა და ქალაქებს, ზრდი შენი ქვეყნის ცნობადობას სხვა ქვეყნებში, აყვარებ ადამიანებს იმას, რაც შენია და უზიარებ უნიკალურ ემოციებს, რომლებიც მხოლოდ საქართველოში შეუძლიათ რომ მიიღონ*

ქალი, რომელიც წლებია, პატარძლების ნდობას ამართლებს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

მიუხედავად იმისა, რომ პროფესიად სულ სხვა მიმართულება აირჩია, მოდის სფეროთი ბავშვობიდანვე იყო გატაცებული. მიხვდა, რომ სჯობდა, იმას დაბრუნებოდა, რაც ყველაზე მეტად აღაფრთოვანებდა. თავიდანვე თვლიდა, რომ თავისი საქმიანობით შეძლებდა გოგონებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი დღე დაუვიწყარ მოგონებად გადაექცია. ასე აღმოჩნდა გაზეთ „აჭარის“ დღევანდელი რესპონდენტი, მოდის სახლ „მონ პარის“ დამფუძნებელი და დიზაინერი ***ნინო ღლონტი*** *საქორწილო კაბების ზღაპრულ სამყაროში, სადაც უკვე 27 წელია თავის გუნდთან ერთად ბათუმელი პატარძლებისთვის და არა მარტო მათთვის, თეთრ, ზღაპრულ საქორწილო კაბებს ქმნის. აღსანიშნავია, რომ ბრენდის განვითარებაში ოჯახის სხვა წევრებიც აქტიურად არიან ჩართულნი და ერთობლივი ძალებით ქმნიან მომხმარებელზე მორგებულ, გემოვნებიან საქორწილო კაბებს.*

- ემსახურო სილამაზის ინდუსტრიას, საკმაოდ რთულია, არაერთ კომპონენტს მოიცავს. საინტერესოა, როგორ დაიბადა იდეა, ზუსტად 27 წლის წინ, დადგომოდით ამ დატვირთულ და პასუხისმგებლობით სავსე გზას?

- ბავშვობიდანვე მოდის სფერო ჩემი ერთ-ერთი მთავარი გატაცება იყო. დიდ სიამოვნებას მანიჭებდა საკუთარი ხელით სამოსის შექმნა. ამ ინტერესის მიუხედავად, პროფესიად პედაგოგობა ავირჩიე. მოსწავლეები ჩემი ცხოვრების მთავარი მამოტივირებელნი იყვნენ, თუმცა მოდის მიმართ სიყვარული არასდროს გამნელებია. ყველაფერი ერთი პატარა შემთხვევით დაიწყო. მეგობარმა მთხოვა, მისთვის საქორწილო კაბა შემექმნა, 1990-იან წლებში, პრაქტიკულად, არ არსებობდა საქორწილო კაბების სალონები და მეც გადავწყვიტე, მეცადა. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. ისეთი გამოხმაურება გამოიწვია, გადავწყვიტე, ქალბატონებისთვის საქორწილო კაბები შემექმნა. დროთა განმავლობაში იმდენად წარმატებული აღმოჩნდა ჩემი მცდელობა, რომ პროფესიის შეცვლა მომიხდა და სრულად ჩავერთე ამ წამოწყებაში. დღეს უკვე სილამაზის ინდუსტრიაში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ბრენდს ვხელმძღვანელობ.

- კონკურენტულ გარემოში როგორ მოახერხეთ საზოგადოების ნდობის მოპოვება?

- ჩვენ არ გვეშინია კონკურენციის. პირიქით, მიმაჩნია, რომ ჯანსაღი კონკურენტული გარემო აუცილებელია ბრენდის განვითარებისთვის. მინდა, ამ სფეროში მოქმედ თითოეულ კომპანიას წარმატება ვუსურვო, ჩვენ ყველაზე კარგად გვესმის, რა კოლოსალურ შრომასთან და სირთულეებთანაა დაკავშირებული ეს საქმიანობა. „მონ პარის“ წარმატების მთავარი მიზეზი კი ალბათ თვითგანვითარებაზე მუდმივი მუშაობაა. აუცილებელია, მოუსმინო მომხმარებელს, დროულად იგრძნო მომავალი ტენდენციები და შესთავაზო ახალი, ისეთი რამ, რასაც მომხმარებელი აუცილებლად აიტაცებს. უმნიშვნელოვანესია მომხმარებელთან სწორი კომუნიკაცია და უკუკავშირის ქონა. უდიდესი პასუხისმგებლობაა, პატარძლის ყველაზე მნიშვნელოვანი დღის ნაწილი გახდე, ნდობა უნდა გაამართლო. ჩვენთან პირველივე ნაბიჯის შემოდგმისას პატარძლებმა თავი სიყვარულით სავსე, თბილ, ზღაპრულ სამყაროში უნდა იგრძნონ, აქ უნდა დაიწყოს მათი მოგზაურობა ახალ ცხოვრებაში. ალბათ, მსგავსი დამოკიდებულების დამსახურებაა, რომ წლების განმავლობაში შევინარჩუნეთ საზოგადოების ნდობა და იმედია, ასეც გაგრძელდება მომავალში. როდესაც „მონ პარიში“ მოდის პატარძალი, იცის, რომ ჩვენი გამოცდილების მიხედვით ზუსტად შევურჩევთ შესაბამის საქორწილო კაბას. პირველ რიგში, აუცილებელია, გავიგოთ, როგორ პატარძლად წარმოუდგენია საკუთარი თავი, როგორი სტილის საქორწილო კაბაში იგრძნობს თავს დედოფლად და ამავდროულად კომფორტულად.

- მოგვიყევით თქვენს ხელოვან ოჯახზე.

- ხელოვნება არის მთავარი დამაკავშირებელი რგოლი, რომელიც ოჯახის ყველა წევრს გვკრავს და ერთიან ჯაჭვად გვაქცევს. სწორედ ხელოვნების სიყვარულმა დაგვაკავშირა მე და ჩემი მეუღლეც. მუსიკა, ლიტერატურა და მხატვრობა განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ჩვენს ოჯახში. ხატვაც ჩემი ერთ-ერთი გატაცებაა, ტილოზე ფერებით საკუთარი გრძნობების გადმოცემა განტვირთვის ყველაზე სასიამოვნო საშუალებაა. პოეზიაც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ჩემს ცხოვრებაში. მიხარია, რომ პოეზიისა და ზოგადად, ლიტერატურისადმი განსაკუთრებული სიყვარული ჩემს შვილს გიორგი დიასამიძეს მემკვიდრეობით გადაეცა. ყოველთვის მინდოდა და ვოცნებობდი, მუსიკალურ ინსტრუმენტს დავუფლებოდი, ან ვოკალზე მემუშავა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ აღმომაჩნდა შესაბამისი მონაცემები. საბედნიეროდ, ეს დანაკლისი მეუღლემ ამინაზღაურა. როგორც ზემოთ ვახსენე, მუსიკა იყო ის მთავარი მიზეზი, რამაც ჩვენ დაგვაკავშირა. ის ცნობილი როკ-ჯგუფ „ბეთლემის“ დამფუძნებელი, სოლო გიტარისტი და ვოკალისტია. ჯგუფმა უდიდესი მუსიკალური მემკვიდრეობა დაუტოვა როგორც ჩვენს რეგიონს, ასევე მთელ საქართველოს. ხელოვნებისადმი უპირობო სიყვარულიც მემკვიდრეობით გადავეცით ჩვენს შვილებს. ჩემმა მეორე შვილმა, ანამ ჩემსავით უარი თქვა, გაეგრძელებინა წარმატებული კარიერა საჯარო სექტორში და მოულოდნელად პროფესიის შეცვლა გადაწყვიტა. ჯერ აქსესუარების საკუთარი ბრენდი „ლილეპოპი“ განავითარა, ახლა კი „მონ პარის“ გუნდს შემოუერთდა.

- მიუხედავად რთული და დატვირთული სამუშაო გრაფიკისა...

- სფერო, რომელშიც ვმუშაობ, მაძლევს იმ თავისუფალ სივრცეს, სადაც შემიძლია შეუზღუდავად ვისუნთქო, განვვითარდე და აღმოვაჩინო საკუთარი თავი.

დეკრეტული შვებულების ფულადი დახმარება გაორმაგდება

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, მთავრობის სხდომა გაიმართა, რომელზეც მინისტრთა კაბინეტის წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 11 საკითხი განიხილეს. მათ შორის იყო საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „ორსულობისა და მშობიარობის გამო ანაზღაურებადი შვებულებისა და ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულების, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო ანაზღაურებადი შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარების ოდენობის განსაზღვრისა და გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“. როგორც ინფორმაციაშია აღნიშნული, დადგენილების პროექტის თანახმად, ფულადი დახმარების ოდენობა ჯამურად 1000 ლარის ნაცვლად 2000 ლარით განისაზღვრა.

„ამასთან, საჯარო სკოლის მასწავლებელს, ორსულობისა და მშობიარობის გამო, ბავშვის მოვლის გამო, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო ანაზღაურებად შვებულებებთან დაკავშირებით, ზემოაღნიშნულ დახმარებასთან ერთად, დამატებითი სოციალური დაცვის ღონისძიების სახით, მის მიერ შვებულებების პერიოდში მისაღები შრომითი გასამრჯელოს სრულ ოდენობამდე შესავსებად მიეცემა დამატებითი ანაზღაურება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, მისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში;

დადგენილების მოქმედება გავრცელდება იმ დასაქმებულებზე, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, 2023 წლის 1 იანვრიდან ისარგებლებენ ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებით, ბავშვის მოვლის გამო შვებულებითა და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებით.

საქართველოს ორგანულ კანონში - „საქართველოს შრომის კოდექსში“ ზემოაღნიშნული ცვლილების განხორციელებამდე ე. წ. დეკრეტული შვებულების ანაზღაურების ოდენობა 2014 წლიდან 1000 ლარს შეადგენდა“, - აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

ევროსაბჭოს გადაწყვეტილებით...

ევროკავშირის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში, სომხეთში ევროკავშირის სამოქალაქო მისია (EUMA) შექმნას, - იუწყება ევროკავშირის საბჭოს პრესსამსახური.

„სომხეთში ევროკავშირის მისიის დაარსებით იწყება ახალი ეტაპი ევროკავშირის საქმიანობაში სამხრეთ კავკასიის რეგიონში. ევროკავშირი გააგრძელებს დეესკალაციის მცდელობების მხარდაჭერას და მზად არის, მჭიდროდ ითანამშრომლოს ორივე მხარესთან, რათა მიაღწიოს საბოლოო მიზანს: მდგრად მშვიდობას - რეგიონში“ , - განაცხადა ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ჯოზეფ ბორელმა.

მისიის მიზანია სომხეთის სასაზღვრო რაიონებში სტაბილურობის ხელშეწყობა, ადგილზე ნდობის განვითარება და ხელსაყრელი პირობების შექმნა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობების ნორმალიზების ძალისხმევისთვის. ინფორმაციაში აღნიშნულია, სომხეთის მოთხოვნის საპასუხოდ, EUMA განახორციელებს რეგულარულ პატრულირებას და წარმოადგენს მოხსენებას სიტუაციაზე.

მისია ასევე ხელს შეუწყობს, ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელის ხელმძღვანელობით, მედიაციის ძალისხმევას.

EUM-ს თავდაპირველი მანდატი ორწლიანი იქნება და მისი ოპერატიული შტაბი სომხეთში დაფუძნდება.

ამირან გურიელიძე

აჭარაში უშვილობის მკურნალობისა და დიაგნოსტიკის დაფინანსება გაიზარდა

მე-2 გვერდიდან

- შარშან, როდესაც ამ პროგრამის შესახებ გავიგე, მე და ჩემს მეუღლეს იმედი მოგვეცა. შევხვდით ქალბატონ ნინო ნიჟარაძეს. მან დიდი გულისყურით მოგვისმინა, ჩვენი ტკივილი გაითავისა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, პროგრამით ვერ ვისარგებლებდით მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ჩემი მეუღლე გურიის მკვიდრია, ხოლო მე წლებია, აჭარაში ვარ ჩაწერილი. მას შემდეგ, რაც დავოჯახდით, ბათუმში ვცხოვრობთ, თუმცა ეს ჩვენთვის ხელშემშლელი ფაქტორი აღმოჩნდა. როგორც სამინისტროში გვითხრეს, პირველ რიგში, სიაში შშმ პირები და სოციალურად დაუცველები არიან, რომლებსაც სამედიცინო დახმარებას გაუწევენ. მათი რაოდენობა საკმაოდ დიდია. არ ვიცი, ჩემი პრობლემა მოგვარდება თუ არა, თუმცა მისასალმებელია ის ფაქტი, რომ აჭარაში ეს პროგრამა ხორციელდება და ბევრი ოჯახის ოცნება ახდება. ალბათ, ჩვენც გაგვიმართლებს და ვინ იცის, იქნებ ისე სასიკეთოდ შეიცვალოს ყველაფერი, რომ საქართველოს ყველა მოქალაქემ, ვისაც უშვილობის პრობლემა აწუხებს, პროგრამაში ჩართვა შეძლოს. - ამბობს იაკო კალანდაძე

აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მათი ბიუჯეტი გაიზარდა და 700 ათას ლარს შეადგენს. სამინისტრო, ჯამში, 36 პროგრამას ახორციელებს. აქედან ერთ-ერთი „უშვილობის დიაგნოსტიკა და მკურნალობაა“.

- უშვილობის პროგრამა შარშან, საპილოტე რეჟიმში, წლის შუა პერიოდიდან დავიწყეთ. წელს პროგრამა გაზრდილი ბიუჯეტით პირველი იანვრიდან დაიწყო. შარშან თუ ბენეფიციარების მკურნალობისთვის 500 ათასი ლარი იყო გათვალისწინებული, წელს 700 ათასი ლარია. სოციალური სტატუსიდან გამომდინარე, ბენეფიციარს მაქსიმალური თანხა შეიძლება მიეცეს 10 ათასი ლარის ოდენობით. რაც შეეხება აღნიშნულ წყვილს, 2 წლის განმავლობაში უნდა იყვნენ ჩაწერილები აჭარაში, თუ ოფიციალურ ქორწინებაში არ იმყოფებიან, ეს პრობლემაც უნდა მოაგვარონ. ამ შემთხვევაში წყვილს დაუფინანსდება სამედიცინო მომსახურება. წელს, იანვარში, განაცხადი უშვილობის დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე არ შემოსულა, თუმცა აღვნიშნავ, რომ შარშან ვაუჩერი 95 წყვილზე გაიცა, - გვითხრა აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსმა მანანა ფაღავამ.

პრიორიტეტი დაფინანსების პროცენტულ წილთან მიმართებაში ენიჭება სოციალურად მოწყვლად ჯგუფებს, წყვილებს, რომლებიც არანაკლებ ორი წლის განმავლობაში აჭარაში არიან რეგისტრირებულები, შშმ პირებს. აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, დაფინანსების ძირითადი პროცენტული მოცულობა 100 და 80 პროცენტია, სამედიცინო მომსახურების დარჩენილ ნაწილს კი პაციენტი დაფარავს. წლის განმავლობაში უნაყოფო წყვილი ისარგებლებს უნაყოფობის დიაგნოსტირებისა და მკურნალობის ერთი ციკლით. ხელოვნური განაყოფიერების არაეფექტურობის შემთხვევაში, 4 თვის განმავლობაში განმეორებითი დაფინანსება განხორციელდება.

რას გვიქადის დამპინგსინდრომი?

ქეთევან კილაძე 593 73 45 74



ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმში ფიზიოლოგიური პროცესები გარკვეული კანონზომიერებით მიმდინარეობს, მაგალითად, კუჭიდან ნაწლავებში გადასვლას საკვები რამდენიმე საათს ანდომებს, რა დროსაც კუჭის წვენისა და ფერმენტების ზემოქმედებით უფრო მეტად ქუცმაცდება და იშლება. თუ ეს მექანიზმი დაირღვა და საჭმელი აღრიანად გადავიდა ნაწლავებში, დისკომფორტი გარდაუვალია. სწორედაც კუჭის სწრაფად დაცლის სინდრომს უწოდებენ დამპინგსინდრომს, რომელიც უფრო ხშირად ვლინდება კუჭსა ან საყლაპავზე ჩატარებული ოპერაციების შემდგომ, ზოგჯერ წლების შემდეგაც კი.

ადრეული დამპინგსინდრომისთვის დამახასიათებელია სიმპტომების გამოვლენა კვებიდან 30 წთ-ის შემდეგ, გვიანი ფორმის დროს კი 1-3 საათში ვლინდება.

ადრეული დამპინგსინდრომის გამოხატულება განსაკუთრებით მკაფიოა საქაროზით ან ფრუქტოზით მდიდარი საკვების მიღების შემდეგ. თავს იჩენს დიარეა, კუჭის სისავსის ან მუცლის შებერილობის შეგრძნება, გულისრევა, ტკივილი ან ჭვალი მუცლის მიდამოში, ბუყბუყი... ზოგჯერ ემატება თავბრუსხვევა, ცნობიერების დაბინდვა, დაღლილობა, მოთენთილობა, სახის, კისრის ან გულმკერდის ზედა ნაწილის გაწითლება, გულის აჩქარება, არითმია, თავის ტკივილი, ოფლიანობა...

გვიანი დამპინგსინდრომის გამოვლენას იწვევს სისხლში გლუკოზის დონის დაქვეითება (ჰიპოგლიკემია). ვითარდება თავბრუსხვევა, ცნობიერების ხანმოკლე დაბინდვა, კანკალი, გულისცემის აჩქარება, არითმია, ოფლიანობა, ზოგადი სისუსტე...

მძიმე ფორმის დამპინგსინდრომის დროს წარმოქმნილი მკვეთრი სიმპტომების შიშით ბევრი თავს არიდებს კვებას, მაგრამ ეს უარესია - წონის კლებას და სიცოცხლისთვის აუცილებელი საკვები ნივთიერებების დეფიციტს შეუძლია მდგომარეობა გაართულოს. ზოგჯერ ადრეული და გვიანი დამპინგსინდრომი ერთდროულად გვხვდება პაციენტში.

დამპინგსინდრომის უშუალო მიზეზი კუჭის სწრაფი დაცლაა. საჭმლის მომნელებელ ტრაქტში წარმოიქმნება და გამოიყოფა ჰორმონები, რომლებიც საჭმლის მომნელებელი სისტემის მუშაობას არეგულირებს. როცა საჭმელი ძალიან სწრაფად გადადის კუჭიდან 12-გოჯა ნაწლავში, მათი გამოყოფა ძლიერდება. ამ დროს სისხლის თხევადი ნაწილი სისხლის მიმოქცევის სისტემიდან წვრილ ნაწლავში გადაინაცვლებს, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს ადრეული დამპინგსინდრომის ნიშნებს.

ჰორმონების სიჭარბე პანკრეასის მიერ ინსულინის გამომუშავებასაც ააქტიურებს, ჭარბი ინსულინი კი 1-3 საათში აქვეითებს სისხლში გლუკოზის დონეს და ვითარდება გვიანი დამპინგსინდრომის სიმპტომები.

დამპინგსინდრომი კუჭსა და საყლაპავზე ოპერაციაგადატანილ ათიდან ერთ ადამიანს უვითარდება. იგი კუჭის შუნტირებასთან უფრო ასოცირდება, ასევე ხშირია კუჭის სრული ამოკვეთის შემდეგ, ვიდრე ნაწილობრივი გასტრექტომიის დროს.

დამპინგსინდრომი სხვა ოპერაციების დროსაც გვხვდება:

ეზოფაგექტომია - საყლაპავის სრული ან ნაწილობრივი ამოკვეთა;

ფუნდოპლიკაცია - საყლაპავის კუჭში გადასვლის ადგილას მდებარე კუჭის ნაწილის გამაგრება რეფლუქსური დაავადების ან დიაფრაგმის საყლაპავი ხვრელის თიაქრის დროს;

ვაგოტომია - კუჭისკენ მიმავალი ცდომილი ნერვის გათიშვა, რათა კუჭის მყავიანობა შემცირდეს (პეპტიკური წყლულის დროს).

კუჭის სწრაფი დაცლის სინდრომი ოპერაციაგადაუტანელ ადამიანებშიც გვხვდება. მიზეზი სხვადასხვაა: ახლადაწყებული შაქრიანი დიაბეტი (უპირატესად ტიპი 2), პანკრეასის ეგზოკრინული უკმარისობა, 12-გოჯა ნაწლავის წყლული, ცოლინგერ-ელისონის სინდრომი და სხვა.

დამპინგსინდრომის დიაგნოზის დასმაში გვეხმარება ანამნეზში ოპერაციების არსებობა, სიმპტომები და ლაბორატორიული ტესტები, როგორიცაა:

ორალური გლუკოზისადმი ტოლერანტობის ტესტი - პაციენტი სვამს გლუკოზის შემცველ ხსნარს, სიმპტომების მაქსიმალური გამოვლენისას კი იღებენ სისხლის ნიმუშს და მასში გლუკოზის დონეს ამოწმებენ;

ჰემატოკრიტის განსაზღვრა - სისხლის მოცულობის ერთეულში ერითროციტების წილი. ჭამის შემდეგ სისხლის მიმოქცევიდან წვრილ ნაწლავში სითხის გადასვლა სისხლში სითხის წილს ამცირებს, ამიტომ ერითროციტების რაოდენობა სისხლის მოცულობის ერთეულში იზრდება.

დამპინგსინდრომის დიაგნოზს სვამენ, თუ გლუკოზის ხსნარის დალევიდან 30 წუთის შემდეგ გულისცემამ 10 დარტყმით მოიმატა, ჰემატოკრიტის 3%-იანი მატება დაფიქსირდა ან 1-3 საათში ჰიპოგლიკემია განვითარდა.

გამომსახველობითი კვლევებიდან დამპინგსინდრომის დიაგნოსტიკისთვის გამოიყენება კუჭის დაცლის ტესტი: საკვებთან ერთად შეჰყავთ რადიაქტიური ნივთიერება და სკანერით ამოწმებენ კუჭიდან წვრილ ნაწლავში საკვების გადასვლის სიჩქარეს (სცინტიგრაფიის მეთოდი). გასტროინტესტინური ენდოსკოპიით ათვალიერებენ საყლაპავის, კუჭისა და წვრილი ნაწლავის სტრუქტურას და გამორიცხავენ სხვა დაავადებათა არსებობას.

ადრეული დამპინგსინდრომის დროს მდგომარეობა შესაძლოა, სამიოდე თვეში თავისთავად გაუმჯობესდეს. პაციენტს ეძლევა კვებითი ჩვევების მითითებები და სწორად შერჩეული რაციონი, რაც აჩქარებს გამოჯანმრთელებას. თუ გაუმჯობესება არ მოხდა, ინიშნება მედიკამენტები:

ოქტრეოტიდი (სანდოსტატინი) - ამ ანტიდიარეულ საშუალებას შეუძლია შეანელოს საკვების ნაწლავებში გადაადგილების პროცესი;

აკარბოზა - დამხმარე საშუალება გვიანი დამპინგსინდრომის შესამსუბუქებლად. ზოგჯერ ქირურგიული ჩარევაც ხდება საჭირო.

დამპინგსინდრომის მქონეებს ურჩევენ:

მიირთვან მცირე ულუფებით და ხშირად (დღეში 5-6-ჯერ), მიიღონ სითხე კვებათა შორის ინტერვალში, ერიდონ მის მიღებას ჭამამდე და ჭამის შემდეგ 30-60 წუთის განმავლობაში, ჭამის შემდეგ 30 წუთით დაწვნენ. რაციონში შეიტანონ მეტი ცილა, ბოჭკო და ცხიმი. ერიდონ რძეს და მის ნაწარმს. საკვებს დაამატონ პექტინი, გუარის ფისი ან ფსილიუმი - ამ მცენარეულ საშუალებებს გამასქელებელი ეფექტი აქვს და წვრილ ნაწლავში ნახშირწყლების შეწოვას აყოვნებს.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და აჯარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აინწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 23/01/23, 21 ⁰⁵ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ანზორ ქათამაძის კიდევ ერთი შესანიშნავი ნამუშევარი

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

რეჟისორმა ანზორ ქათამაძემ საზოგადოებას კიდევ ერთი საინტერესო დოკუმენტური ფილმი - „ტბეთი“ წარუდგინა. იგი ჯერ აჭარის მწერალთა სახლში იხილა საზოგადოებამ, ამ რამდენიმე ხნის წინ კი აჭარის ტელევიზიით - მილიონობით ტელემაყურებელმა. ფილმის ავტორი და რეჟისორია ანზორ ქათამაძე, მხატვარი - ჯემალ მიქელაძე, ოპერატორი - რამაზ ჯორბენაძე, მემონტაჟე - ირაკლი ქათამაძე, ტექსტს კითხულობს მსახიობი ზაალ გოგუაძე

ანზორ ქათამაძე ამჟამად აჭარის ტელევიზიის სატელევიზიო ფილმების პროდიუსერი და რეჟისორი გახლავთ. სხვადასხვა დროს იყო რეჟისორი, დამდგმელი ოპერატორი, სცენარის ავტორი, არხის მიმართულების პროდიუსერი. ტელევიზიაში სამ ათეულ წელზე მეტია, მუშაობს. მას ყველა იცნობს, როგორც თავისი საქმის პროფესიონალს, რომელიც დიდი სიყვარულით და უჩუმრად აკეთებს ძალიან დიდ ქართულ საქმეს. ეს არის ისტორიად ქცეული ჩვენი სამშობლოს მტკივნეული წარსული, რომელიც აუცილებლად უნდა იცოდეს თითოეულმა ქართველმა, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს.

ამ ნიჭიერ და შრომისმოყვარე ადამიანს ქართულ თემატიკაზე არაერთი ფილმი აქვს გადაღებული, რომელიც უყურადღებოდ არ

დარჩენილა, არაერთხელ აღინიშნა ჯილდოთი. 2003 წელს ფილმებისთვის (რომელიც რეჟისორ სოსო სტურუასთან ერთად გადაიღო) - „ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა“, „სარფი მოლენი“, „მაჭახელი და იალაღობა“ თედო სახოკიას პრემიის ლაურეატი გახდა, მართლმადიდებლური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე მათ მიერ გადაღებული ფილმი „ზარის დაბადება“ ჟიურიმ საუკეთესოდ აღიარა და პრიზი - წმინდა ანდრიას ჯვარი გადასცა.

განსაკუთრებით გამოირჩევა ტაო-კლარჯეთსა და ქართველ მუჰაჯირებზე გადაღებული მისი ნამუშევრები. 2017 წელს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ სპორტსმენებზე გადაღებული დოკუმენტური ფილმებისთვის წლის საუკეთესო ჟურნალისტის წოდება მიანიჭა. მანამდე, 2015 წელს, სტამბოლის დედაენის ცენტრმა მოაწყო მისი ფილმის - „დედის ენა ქართული“ საპრემიერო ჩვენება. ქართული ენის განვითარებისა და თურქეთში მცხოვრებ ქართველებში ქართული ენის პოპულარიზაციისთვის მას ასევე გადაეცა სპეციალური ჯილდო.

ფილმი „ტბეთი“, რომელიც უკვე იხილა მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა, მართლაც ღირებული და მეტად საჭიროა როგორც აქაური, ისე თურქეთში მცხოვრები ქართველებისთვის. მასში ქართველი მეცნიერები საინტერესო ფაქტებით გვიყვებიან ამ უნიკალური და უძველესი ქართული ძეგლის ისტორიას. არ შეიძლება, ფილმი ნახო და თვალზე ცრემლი არ მოგადგეს. აქ წარმოდგენილი რამდენიმე კომენტარითაც მიხვდებით, რა საინტერესო და საჭირო დოკუმენტური ფილმი გადაიღო ჩვენმა თანაქალაქელმა.

ვახტანგ ღლონტი, პოეტი:

- წარსულის ბედუკუღმართობის გამო რაც მოხდა, ჩვენმა თაობამ ეს იცის და გვტკივა, მაგრამ არ იცის ამ თაობამ, ბავშვებმა, რომლებიც იმავე ქვეყნის დაფინანსებულ სასწავლებლებში სწავლობენ. ეს არ არის დასამალი. აი, ვის უნდა ვაჩვენოთ ეს საოცარი ფილმი. თუ მოგვიხერხდება, ამის ძალა და საშუალება იქნება, მივიტანოთ იმ ბავშვებამდე, ვინც ჩვენს მერე რჩება, რომ ჩვენი ჩვენვე აღვზარდოთ და არა სხვა მენტალობის ხალხმა. აი, ეს იქნება ძალიან კარგი. დიდი მადლობა ყველას, ვისაც სტკივა სამშობლო. მინდა ვიყოთ ისეთი მტკიცენი, როგორც ის ტაძრებია.

როინ მალაყმაძე, პროფესორი:

- ანზორი არაერთი საინტერესო ფილმის ავტორია. მან ტაო-კლარჯეთის თემატიკა გააცოცხლა და შემოიტანა საზოგადოებაში. ძალიან კარგი იქნება, თუ ეს სკოლის მოსწავლეებამდე, ახალგაზრდობამდე მივა, ფართო აუდიტორია ნახავს. ფილმში წარმოდგენილია ბედდამწვარი ტბეთის ისტორია, მაგრამ



ავტორი მთელ ტაო-კლარჯეთზე ლაპარაკობს. დიდი მადლობა მას, რადგან ამაში არავითარი ფინანსური ინტერესი არ დევს, ფილმი გაკეთებულია მისი დიდი ენთუზიაზმითა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით.

შორენა მახაჭაძე, პროფესორი:

- „ტბეთი“ პატრიოტული მუხტით გაჯერებული ფილმია, ვთვლი, რომ იგი სკოლების პროგრამაში უნდა შეიტანონ. რომ არ შეიტანონ, ნებისმიერი ისტორიის მასწავლებელმა გაკვეთილზე უნდა აჩვენოს მოსწავლეებს. ჩვენ ვიზრდებოდით პატრიოტიზმის სულისკვეთებით, ეს მუხტი თავისთავად შემოდიოდა „ბახტრიონის“, „ბაში-აჩუკის“, სხვა პატრიოტული ნაწარმოებების შესწავლის შემდეგ, დაწყებული პირველი კლასიდან მე-12 კლასის ჩათვლით. ახლა ყველაფერი ამოღებულია პროგრამიდან, ამიტომაა საჭირო ასეთი ფილმის ჩვენება ისტორიის გაკვეთილზე. უღრმესი მადლობა ანზორ ქათამაძეს, ეს არის შესანიშნავად გაკეთებული მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი, არაჩვეულებრივი, ქართულად წაკითხული ტექსტით, ზაალ გოგუაძის საოცარი დიქციით, მეტყველებით, არაჩვეულებრივი მეცნიერების კომენტარებით, ბრწყინვალე ოპერატორული ნამუშევრით... ბევრი ასეთი ფილმი გადაეღოთ საქართველოში.

ოთარ ფუტკარაძე, ჟურნალისტი:

- ტბეთში ჩემი ერთ-ერთი მორიგი სტუმრობის დროს, მოვიდა ტბეთის მამასახლისი მუხტარი და მითხრა, რომ ამ სოფელს სწვევია თურქეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი დავითოღლუ. მას დავათვალიერებინეთ ეკლესია და ვთხოვეთ მისი აღდგენაო. მაშინ შეჰპირებია, რომ სოფელში მეჩეთსაც ააგებდნენ (ეს ერთადერთი სოფელია იმ მხარეში, სადაც მეჩეთი არ აქვთ) და ეკლესიასაც აღადგენდნენ. საინტერესო ფაქტია, თუმცა ის ახლა აღარაა პრემიერ-მინისტრი და ეს რამდენად გაკეთდება, არ ვიცი. აღსანიშნავია, რომ ტბეთის ეკლესიასთან დაიწყო არქეოლოგიური გათხრები, რომელსაც აწარმოებს იქაური ქართველი, ერზურუმის უნივერსიტეტის პროფესორი ბატონი ოსმანი. იმედს გამოვთქვამ, რომ ტბეთის ტაძარიც აღდგება თავისი დიდებულებით.

თამაზ ფუტკარაძე, პროფესორი:

- მადლობა ანზორს, შემოქმედებით კოლექტივს ასეთი შესანიშნავი ფილმის შექმნისთვის. მე და ანზორი პირველად არ ვხვდებით ერთმანეთს. მან ჩვენი საგრანტო პროექტის ფარგლებში ორი შესანიშნავი ფილმი შექმნა. არიან ადამიანები, რომლებიც ინიღბებიან, იმოსებიან პატრიოტიზმის სამოსით და არიან ადამიანები, რომლებიც სამშობლოს გრძნობენ, განიცდიან მის ტკივილს, სამშობლო მათთვის, მაპატიეთ და, „მეწველი ძროხა“ კი არა, სალოცავი ხატია. ანზორისთვის საქართველო სალოცავი ხატია. ჩვენ არაერთი ფილმი ვიცით ისტორიული საქართველოს ცალკეული მხარეების შესახებ, ეს ფილმი მათ შორის არის განსაკუთრებული, თუნდაც იმიტომ, რომ ის არის ერთიანი საქართველოს იდეოლოგია. დღეს თუ გვგონია, რომ ვცხოვრობთ საქართველოში და ერთიანი ეროვნული ფსიქოლოგია გვაქვს, კარგად მოგეხსნებათ, რომ ასე არ არის - ჩვენ დღეს ვართ იმერლები, გურულები, აჭარლები, რაჭველები.... ზოგადად ქართველი გაქრა ხელიდან, ანუ ფეოდალურ ცნობიერებაზე უფრო დაბალ დონეზე დავედით... ასეთი ფილმები აუცილებელია ნახოს საზოგადოებამ იმიტომ, რომ ის ერთი მხრივ, ქართული მატერიალური კულტურის თვალსაჩინო მაგალითია და მეორე მხრივ, ერთიანი ქართული იდეოლოგიისთვის შექმნილი ფილმი, რაც დღეს ძალიან გვაკლია ჩვენ, ქართველებს. მადლობა რეჟისორს.

თენგიზ თავდგირიძე, ჩოხოსანი:

- ძნელია, ნახოს ქართველმა ეს ფილმი და გული არ აუტოკდეს. იგი არა მარტო მოსწავლეებმა, არამედ სტუდენტებმაც უნდა ნახონ, რათა შემდეგ მათ, უკვე როგორც პედაგოგებმა, შეიტანონ სასკოლო პროგრამაში, მაშინ უკეთ წარმოაჩენენ ჩვენს ისტორიას.

ბადრი თევზაძე, მწერალი:

- დიდებული ფილმი შექმნა ანზორ ქათამაძემ, ძალიან მომეწონა მასში აქცენტების გადანაწილება. ანზორს დიდი ხანია ვიცნობ და ამ სფეროში მის საქმიანობას სულ ვაფასებდი. დღეს მოვიხიბლე. ყოჩაღ და მადლობა!

ჯემალ მიქელაძე, მხატვარ-არქიტექტორი:

- ფილმში საინტერესოდაა გადმოცემული ჩვენი ქვეყნის ისტორიის ის ფურცლები, რომლის დავიწყება გამორიცხულია. მჯერა, დადგება დრო და ეს ჩვენი ტერიტორიები დაგვიბრუნდება.... ახალგაზრდა თაობამ ასეთი ფილმები უნდა ნახოს, რადგან არ ვიცით, სამომავლოდ როგორ განვითარდებიან ისინი. იქ, ჩვენთვის ძვირფას ტერიტორიებზე ქართველთა მიერ აგებული უძვირფასესი ძეგლებია, ჩვენმა წინაპარმა ბრწყინვალე ნაგებობები შექმნა. ჩვენი ვალია, როგორმე მსოფლიოს გავაცნოთ, რაც ქართულმა გენმა შექმნა. ბატონმა ანზორმა ეს ყველაფერი, როგორც საინტერესო საკითხავი, ისე წარმოგვიდგინა.

დავით თედორაძე, აჭარის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე:

- როცა ანზორმა გვთხოვა, პრეზენტაცია აქ გაემართა, სიხარულით დავთანხმდი, რადგან ორი წლის წინ მწერლები მყავდა წაყვანილი ტაო-კლარჯეთში და ტბეთის ტაძრის ხილვის შემდეგ გულშეღონებულები დავრჩით. ანზორ ქათამაძეს დიდ მადლობას ვუხდი ამ ბრწყინვალე ნამუშევრისთვის.

- მადლობა მინდა გადავუხადო აჭარის მწერალთა სახლს, აჭარის ტელევიზიას თანადგომისთვის. ფილმი არა მხოლოდ რიგითი მაყურებლისთვისაა საინტერესო, არამედ სპეციალისტებისთვის, ლექტორ-მასწავლებლებისთვის, სტუდენტებისთვის, მოსწავლეებისთვის, მკვლევარებისთვის, ყველა იმ ადამიანისთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ქვეყნის წარსული, აწმყო და მომავალი, რაც მთავარია, ბედის უკუღმართობის გამო საზღვრის მიღმა დარჩენილი მოსახლეობისთვის, მუჰაჯირებისთვის. იქ მილიონობით ქართველი ცხოვრობს. თუ ეს ფილმი მათ გულებს გაუთბობს და მეტად შეაყვარებს სამშობლოს, თავს ბედნიერად ჩავთვლი. მიხარია, რომ მაყურებელმა „ტბეთი“ ძალიან თბილად მიიღო, - გვითხრა ანზორ ქათამაძემ.